P.S.

თავისუფალი გაზეთი „პოსტსკრიპტუმი“

„ჩემო კალამო, ჩემო კარგო, რად გვინდა ტაში!“

რატომ ვერ გახდება ყირიმი აფხაზეთი?

იხილეთ მე-2 გვერდზე

მაყურებლის ქარ-ცეცხლში

თინა მახარაძე: „მე ამაყი ვარ, რომ მეც ვარ ბოზი“

იხილეთ მე-6 გვერდზე

№ 6 (694) 10 - 16 მარტი, 2014 | გამოდის 1995 წლიდან | ფასი: 70 თეთრი | PSnews.ge

ეწვიეთ გაზეთ „P.S.“-ის განახლებულ საინფორმაციო ინტერნეტპორტალს www.psnews.ge-ს, ყოველდღიურად იკითხეთ ცხელ-ცხელი ამბები და იყავით ინფორმირებული!

სკოლის მოსწავლეთა 80% ბულინგის, ანუ ჩაგვრის მსხვერპლია

მოზარდმა სათვალესა და ჟღალ თმაში თავი სრულფასოვან პიროვნებად უნდა იგრძნოს

ბულინგი — იგივე ჩაგვრა, ადამიანზე ფიზიკური თუ ფსიქოლოგიური ზიანის მიყენება, — ტერმინი, რომელიც თავისი შინაარსით ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული, თუმცა ნაკლებად ყურადღებამიქცეული პრობლემაა.

2012 წელს „იუნისეფის“ კვლევებმა სკოლებში არსებული ძალადობის შემთხვევები შეისწავლა და აღმოაჩინა, რომ საქართველოში გამოკითხული ბავშვების 80%-მა ერთხელ მაინც განიცადა ფიზიკური თუ ფსიქოლოგიური ძალადობა. სტატისტიკა ცალსახად შემაშფოთებელია და ამ მიმართულებით დღესაც რომ არსებითად არაფერი გაუმჯობესებულა, გამოკითხული რესპონდენტებით დასტურდება. მოსწავლეები სკოლებში ჩაგვრის არაერთ შემთხვევებზე საუბრობენ.

***

11 წლინ ნიკა მე-5 კლასელია. ის ასაკი აქვს, როცა ღირსების გრძნობა და თავმოყვარეობა გააჩნია. ღირსებაშელახულს სხვა სკოლაში გადასვლა სურს. მიზეზი ასეთია: „ხუთი წლიდან სათვალეს ვატარებ, ახლომხედველი ვარ, ამხანაგები ადრე ბრუციანს მეძახდნენ, მე ვუთხარი მათ, რომ მწყინდა ასე მომართვა, მერე ერთმა მითხრა: კაი, ბრუციანი თუ არ მოგწონს, შურიკას დაგიძახებთო, ამისთვის ბევრჯერ მიტირია. აღარ მინდოდა სათვალის გაკეთება, მაგრამ დედამ დამარწმუნა, რომ ეს ჯერ აუცილებელია. სკოლიდანაც მინდოდა გადასვლა, მაგრამ ორმა კლასელმა ბიჭმა გამამხნევა და მითხრა, რომ მათ ყურადღება არ მივაქციო. მე მაინც ძალიან მტკივა გული.“

გაგრძელება მე-3 გვერდზე

„სოფლის ექიმის“ ახალი სახელმწიფო პროგრამის ფორმირება დაიწყო

სადაზღვევო კომპანიებს ექიმების ორთვიანი დავალიანება გაუსტუმრებელი აქვთ

იხილეთ მე-3 გვერდზე

გეგუთში გარდაცვლილი პატიმრის ძმა: „ჩემი ძმა საშინლადაა ნაწამები, თვალი აქვს ამოთხრილი“

იხილეთ მე-4 გვერდზე

იმერეთის გუბერნიაში 41 ვაკანსიაზე კონკურსი გამოცხადდა

იხილეთ მე-2 გვერდზე

ქართული სამართლის პარადოქსები

იხილეთ მე-5 გვერდზე

ჩინელი მასწავლებლების სწავლების მეთოდმა ბრიტანულს აჯობა

იხილეთ მე-7 გვერდზე

დაწუნებული ჯიხურები ქუთაისის ცენტრალურ უბნებშიც გამოჩნდა

იხილეთ მე-3 გვერდზე

თემურ შაშიაშვილმა, შესაძლოა, ქუთაისის მერად იყაროს კენჭი

იხილეთ მე-4 გვერდზე

ქიმერიონი
qimerioni.ge
წიგნების მაღაზია
მისამართი: ქუთაისი, „პოპული“; ტელ.: 790 927 927.

წიგნები
შენ გელოდება!
ქუთაისი, საგაჭრო ცენტრი „პოპული“, წიგნების მაღაზია „ქიმერიონი“. ტელ.: (790) 927 927.

სკანვორდი — გვ. 8

ჰოროსკოპი — გვ. 8

PSnews.ge

ISSN 1987-7056

იმერეთის გუბერნიაში 41 ვაკანსიაზე კონკურსი გამოცხადდა

იმერეთის გუბერნიაში გამოცხადებულ ვაკანსიებზე კადრების შესარჩევად მუდმივმოქმედი საკონკურსო-საატესტაციო კომისია შეიქმნა. კომისია 5 წევრისგან შედგება, რომლის თავმჯდომარე იმერეთის გუბერნატორი ზაზა მეფარიშვილია.

მეფარიშვილმა 6 მარტს საკონკურსო-საატესტაციო კომისიის წევრები დაასახელა და მედიის წარმომადგენლებს გააცნო.

გურამ გვენცაძე – საკონკურსო-საატესტაციო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე, 2013 წლიდან დღემდე არის მწერალთა, ხელოვანთა და მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ერთ-ერთი დამფუძნებელი და ვიცე-პრეზიდენტი. ასევე არის ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის წევრი.

მერაბ კეზევაძე – 1992 წლიდან დღემდე არის ქუთაისის ცენტრალური არქივის დირექტორი.

პაატა კლდიაშვილი – 2009 წლიდან არის საქართველოს ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაციის იმერეთის წარმომადგენლობის დირექტორი.

თამარ ნეფარიძე – საქართველოს ოფიციალურ წარმომადგენლობებს უწევს სათარჯიმნო მომსახურებას სხვადასხვა სასწავლო ტურებისა და გაცვლითი ვიზიტების დროს.

კონკურსი 41 ვაკანტურ თანამდებობაზე 7 მარტიდან გამოცხადდა, რომელიც 5 ეტაპისგან შედგება. საკონკურსო კომისიას მოუწევს, ეტაპობრივად შეარჩიოს კანდიდატურები როგორც რიგითი თანამშრომლების, ასევე სამსახურის უფროსებისა და ვიცე-გუბერნატორების პოსტებზე.

კომისიის წევრთა განცხადებით, აქცენტი ახალგაზრდა კადრებზე გაკეთდება.

კომისიის წევრები ანაზღაურების გარეშე იმუშავებენ.

ნესტან ჩაგელიშვილი
psnews.ge

მთავარი რედაქტორი:
ნატო გუბელაძე

დიზაინი: ირმა ბახუტაშვილი

ოპერატორი და კორექტორი:
ლალი კუპრაშვილი

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით. არ გამოხატავს არცერთი პოლიტიკური პარტიის ინტერესებს. ავტორთა მოსაზრება შეიძლება, არ ემთხვეოდეს რედაქციისას.

R — ნიშნით აღნიშნულია სტატია, რომელიც განთავსებულია სარეკლამო ფართზე

გამომცემელი — შპს „P.S." („პოსტსკრიპტუმი").
ქუთაისის სასამართლოს რეგისტრაცია
№5/ბ-1401

გაზეთ „P.S."-ის კლასიფიკაციის კოდი:
UDC (უაკ) 3+32] (479.22) (054)
პ - 658
P - 86

მისამართი: ქუთაისი. რუსთაველის გამზირი №37ა. პრესის სახლი.

● (032) 2 422 470, (0 431) 24-45-46.
● psnews27@gmail.com
● www.psnews.ge

რატომ ვერ გახდება ყირიმი აფხაზეთი?

მოახერხებს თუ არა რუსეთი უკრაინის სუვერენიტეტს შეუქმნას ისეთი საფრთხეები, როგორც ეს მან გააკეთა საქართველოსთან დაკავშირებით?! ეს არის მთავარი კითხვა დღეს, რომელიც აშფოთებს პოლიტიკურ ლიდერებს თუ საერთაშორისო ურთიერთობების ანალიტიკოსებს. გავლენიანმა ამერიკულმა გამოცემამ Washington Post-მა გამოაქვეყნა სტატია, თუ რატომ ვერ გახდება ყირიმი აფხაზეთი.

უკრაინის პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელი ალექსანდრე ტურჩინოვი ბრალს დებს რუსეთის მხარდაჭერილ ძალებს ყირიმში, რომ ისინი „აფხაზეთის ანალოგიური სცენარით მოქმედებენ." მოსაზრება, თითქოს 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის აფხაზეთის „მოდელი" შეიძლება გამოდგეს ყირიმში რუსეთის მოქმედების ასახსნელად, ფართოდ გავრცელებულია ასევე ბევრ მედია ექსპერტს შორის.

კიმბერლი მარტენის სტატიაში „4 მიზეზი, რის გამოც ყირიმი აფხაზეთი არ არის" არის აღნიშნული, რუსეთის მოტივაცია ამ ორ რეგიონში განსხვავებულია. რაც იმას ნიშნავს, რომ ამ „მოდელებზე" დაყრდნობით გაკეთებული პროგნოზებიდან გამომდინარე, საბოლოო რეზულტატი (რუსეთის მიერ ყირიმის ჩაყლაპვა) არ მოხდება, თუკი უკრაინა თავის კარტებს სწორად გაითამაშებს. სტატიის ავტორი ასახელებს ოთხ ფაქტორს, რომელიც გამორიცხავს აფხაზეთის სცენარის განვითარებას ყირიმში.

პირველი ფაქტორი — არ არის დაგროვილი ემოციური მოგონებები და ბრაზი

სტატიაში აღნიშნულია, რომ ავტორიტეტული Human Rights Watch-ის ანგარიშის თანახმად, აფხაზეთმა 1992-93 წლებში საბჭოთა კავშირის კრახის შემდეგ სასტიკი სამოქალაქო ომი, მასშტაბური ეთნიკური წმენდის კამპანიები და მშვიდობიანი მოქალაქეების მიმართ სხვა უამრავი სისასტიკე გადაიტანა. ორგანიზაცია international Crisis Group-ის თანახმად, 8 000 ადამიანი დაიღუპა, 18 000 დაიჭრა, და 240000 ადამიანი (დიდ წილად ეთნიკური ქართველები) სახლებიდან გააძევეს. იძულებით გადაადგილებულთა უმრავლესობა დღემდე საქართველოს ტერიტორიის სხვადასხვა ადგილებში, ცალკეულ თემებად ცხოვრობს. ეს არის კონტექსტი, რომელმაც შექმნა შესაბამისი პირობები 2008 წლის რუსული ინტერვენციისთვის აფხაზეთში.

ამის საპირისპიროდ, ყირიმმა პოსტსაბჭოთა ეპოქაში მშვიდობიანად შეაბიჯა. მაშინ, როდესაც ყირიმის სტატუსთან დაკავშირებით ახლად გათავისუფლებული სუვერენული უკრაინის ფარგლებში სერიოზული იურიდიული დავა მიმდინარეობდა, როგორც ეს მეცნიერმა რომან სოლჩანიკმა აღწერა იმ დროს, ყირიმმა შეძლო და სამოქალაქო ომს თავი აარიდა (ყირიმი 1954 წელს, საბჭოთა პრემიერის ნიკიტა ხრიუშჩოვის თვითნებური გადაწყვეტილებით გახდა უკრაინის ტერიტორიის ნაწილი). მაშინ, როდესაც ყირიმელების უმრავლესობა ეთნიკურად რუსების სოლიდარულია, რესპუბლიკას არ აქვს ის ემოციური მოგონებები და ბრაზი, რაც აფხაზეთის სამოქალაქო ომის შემდგომი პერიოდის საზოგადოებას გააჩნია. რაც იმას ნიშნავს, რომ ყირიმის სტატუსთან დაკავშირებით საბოლოო გადაწყვეტილება, დიდი ალბათობით, შეიძლება მიღებულ იქნას მშვიდობიანად და მოლაპარაკებების გზით, ვიდრე ეს ოდესმე იყო შესაძლებელი აფხაზეთის შემთხვევაში.

მეორე ფაქტორი — რუსეთის გავლენის მაღალი ხარისხი

„რუსეთს არ სჭირდება ყირიმის ძვირადღირებული და სარისკო ოკუპაცია" — მიაჩნია სტატიის ავტორს.

აფხაზეთის მოსახლეობაში ეთნიკური რუსები არ დომინირებენ. 2011 წლის მოსახლეობის აღწერის მონაცემების თანახმად, 10%-ზე ნაკლები ადამიანი იდენტიფიცირებულია, როგორც ეთნიკური რუსი; საბჭოთა პერიოდშიც კი ეს მაჩვენებელი 20%-ზე მაღალი არ ყოფილა. ამის საპირისპიროდ, ბოლო უკრაინული აღწერით (2001) ყირიმელების 58% საკუთარ თავს ეთნიკურ რუსად მიიჩნევს.

სტატიის ავტორის აზრით, ეს იმას ნიშნავს, რომ რუსეთის ირიბი გავლენის ხარისხი ყირიმზე არის ისეთი, როგორიც არასდროს ჰქონია აფხაზეთზე — ის სარგებლობს მოსახლეობის დიდი უმრავლესობის სიმპათიით, რაც შეიძლება აისახოს ამ ავტონომიურ რესპუბლიკაში მაისში დაგეგმილ რეფერენდუმზე. ასევე, რუსული ეთნიკური ჯგუფები საკმაოდ მძლავრად არიან წარმოდგენილი უკრაინის კიდევ სხვა რამდენიმე პროვინციაში. ამას ემატება ისიც, რომ უკრაინა თავისი ბუნებრივი აირის 70%-ით რუსეთზეა დამოკიდებული, რუსეთს არ სჭირდება ყირიმის ძვირადღირებული და სარისკო ოკუპაცია იმისთვის, რომ მისი ხმა გარანტირებულად გათვალისწინებული იყოს უკრაინის მომავალში.

მესამე ფაქტორი — უკრაინის არმია

მაშინ, როდესაც 2008 წლის ომი სისხლიანი იყო, ის იყო ხანმოკლე, დიდწილად იმის გამო, რომ ქართული არმია უმალ დამარცხდა — ნაწილობრივ ქართული არმიის მოცულობის სიმცირის და შეზღუდული აღჭურვილობის გამო, მაგრამ პრობლემა კიდევ უფრო ღრმა აღმოჩნდა. პენტაგონის ომისშემდგომ ანგარიშში ნათქვამია, რომ პრობლემას წარმოადგენდა „ცუდი მენეჯმენტი და არაკვალიფიციური ხელმძღვანელობა", რის გამოც ქართულმა არმიამ ვერ იბრძოლა, როგორც თანამედროვე ძალამ. ამ ფაქტორმა ადგილზე რუსი მშვიდობისმყოფელების ყოფნასთან ერთად, რუსეთს აფხაზეთის ხელში ჩაგდება გაუადვილა.

ამის საპირისპიროდ, უკრაინას დღეს გაცილებით დიდი არმია ჰყავს, ვიდრე საქართველოს ჰყავდა 2008 წელს. არანაირი აზრი არის იმაში, რომ რუსეთის რაციონალური ლიდერი (და ჩვენ შეგვიძლია დავასკვნათ, რომ პრეზიდენტი პუტინი გონიერი და რაციონალურია, თუკი თანამდებობაზე მის ხანგრძლივ ყოფნას და მის მთელ რიგ ბოლოდროინდელ ტრიუმფებს გავითვალისწინებთ) ბედთან თამაშს დაიწყებს ინტერვენციით, რაც უკრაინის სამხედრო ძალების პასუხის პროვოცირებას მოახდენს.

მეოთხე ფაქტორი — საქართველოს მაშინ მართავდა იმპულსური პრეზიდენტი, უკრაინას — არა

2008 წელს, საქართველოს მართავდა იმპულსური პრეზიდენტი, რომლის პროვოცირება და გაბრაზება იოლი იყო. მიხეილ სააკაშვილმა თავისი პოლიტიკური მომავლის მიზნად დაისახა საქართველოს სამოქალაქო ომამდელი ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა. პუტინი ძიუდოს ოსტატია, რომელმაც იცის როგორ უნდა წააქციოს მოწინააღმდეგე ისე, რომ მისივე წონა გამოიყენოს თავის სასარგებლოდ. მან იცოდა, რომ შეეძლო სააკაშვილი პირველ ნაბიჯზე წაეცეხებინა (ამის შესახებ ევროკავშირის დამოუკიდებელ საგამოძიებო ანგარიშშია მითითებული, რომელიც 2008 წლის ომის გარემოებებს სწავლობდა).

სტატიის ავტორს მიაჩნია, რომ ზემოაღნიშნული ფაქტორების გამო, უკრაინის დროებით ხელისუფლებას შეუძლია უზრუნველყოს ის, რომ ყირიმი აფხაზეთი არ გახდეს და, შესაბამისად, თავიდან აირიდოს ფართომასშტაბიანი ომი უკრაინის ტერიტორიული მომავლის ირგვლივ. სიმშვიდის შენარჩუნებით და ყველაფრის გაკეთებით იმისათვის, რომ აღკვეთოს ძალადობის გაჩაღება ყირიმის რუსული უმრავლესობის მიმართ, მას შეუძლია მოსკოვს ლოდინით მოუგოს.

„გრძელვადიან პერსპექტივაში, მოსკოვის ინტერესებში არ შედის ისეთი ტვირთის წამოკიდება, როგორიცაა ყირიმის ეთნიკურად მრავალფეროვანი მოსახლეობის მართვა, იმ მრავალრიცხოვანი თათარი მოსახლეობის გათვალისწინებით, რომლებისთვისაც რუსეთის კონტროლი კატეგორიულად მიუღებელია. თუკი კიევში მკაფიოდ განაცხადებენ, რომ მათთვის მისაღებია სუვერენული უკრაინის ფარგლებში ყირიმის ავტონომიის სტატუსის გადახედვა (და განსაკუთრებით, თუკი კიევი მხარს უჭერს 2010 წლის ხელშეკრულებას მოსკოვთან, რომლის თანახმად რუსეთის შავი ზღვის ფლოტი რჩება ყირიმის სევასტოპოლის ბაზაზე 2042 წლამდე), რჩება იმის იმედი, რომ ყირიმის მიმდინარე კრიზისი რუსეთის ინტერვენციის გარეშე გადაწყდება," — წერს კიმბერლი მარტენი Washington-Post-ში გამოქვეყნებულ სტატიაში.

ცოტნე პაატაშვილი

სახალხო დამცველის განცხადება ქალთა საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით

ქალთა საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი კვირეულის ფარგლებში, საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის გენდერული თანასწორობის დეპარტამენტის ორგანიზებით ჩატარდა რეგიონალური შეხვედრები „უფლებებია — ჩემი ყვავილები". შეხვედრები სიმბოლურად საქართველოს 8 რეგიონში ჩატარდა და მიზნად ისახავდა საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლებას ქალთა უფლებებსა და გენდერული თანასწორობის საკითხებზე.

ქალთა საერთაშორისო დღის აღნიშვნა ქალთა შრომითი უფლებების დაცვის, გადაწყვეტილების მიღების პროცესში ქალთა მონაწილეობის ხელშეწყობისა და ძალადობის აღმოფხვრისაკენ ბრძოლის საკითხებს უკავშირდება.

8 მარტის აღნიშვნის ისტორია 104 წელს ითვლის. 1910 წელს, კოპენჰაგენში გამართული საერთაშორისო კონფერენციის მიმდინარეობისას, გერმანელი სოციალისტის — კლარა ცეტკინის მიერ ინიცირებული იქნა ქალთა საერთაშორისო დღის აღნიშვნა, რასაც საფუძვლად დაედო 1909 წელს 15 000 ქალის საპროტესტო გამოსვლა უკეთესი ანაზღაურების, პროფესიული განათლების, სამუშაოზე დისკრიმინაციის აღმოფხვრისა და გადაწყვეტილების მიღების დონეზე ქალთა მონაწილეობის ხელშეწყობის მოთხოვნით.

1975 წელს, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიერ 8 მარტი ქალთა

საერთაშორისო დღედ გამოცხადდა. საქართველოში ამ დღეს ვიხსენებთ ქალთა განუზომელ წვლილს, მიღწევებსა და წარმატებებს. ვსაუბრობთ არსებულ პრობლემებზე და ვეძებთ გადაჭრის გზებს.

სკოლის მოსწავლეთა 80% ბულინგის, ანუ ჩაგვრის მსხვერპლია

მოზარდმა სათვალესა და ჟღალ თმაში თავი სრულფასოვან პიროვნებად უნდა იგრძნოს

პირველი გვერდიდან

ბულინგს ქმნიან ის ადამიანები, ვისთვისაც მისაღებია აგრესიაზე დაფუძნებული ურთიერთობა, ადამიანები, რომლებიც ამართლებენ რაღაცის მოპოვებას სხისი ჩაგვრის ხარჯზე.

2008 წელს „უსაფრთხო სკოლის კონცეფციასთან“ ერთად, განათლების სამინისტრომ მანდატურის სამსახური შემოიღო, რის შემდეგადაც ფიზიკური ძალადობის შემთხვევებმა სკოლებში იკლო. როგორც ჩანს, ბულინგთან ბრძოლის თვალსაზრისით, სახელმწიფომ მანდატურის სამსახურის შემოღება საკმარისად ჩათვალა, თუმცა, რა ხდება ამ მიმართულებით ჩვენს ქვეყანაში, ოფიციალური კვლევა საქართველოში დღემდე რა ჩატარებულა.

სკოლებში ჩაგვრის შემთხვევებს პედაგოგებიც ადასტურებენ და მანდატურის სამსახურის შექმნასთან ერთად, სკოლებში სხვადასხვა სახის აქტივობების განხორციელების აუცილებლობაზეც საუბრობენ.

მაია აფრიდონიძე, პედაგოგი: „დაწყებით კლასებს ვასწავლი, მაგრამ უნდა ითქვას, რომ ჩაგვრის შემთხვევები ამ ასაკის მოზარდებშიც ხშირია. მე-4 კლასელი გოგონა მყავდა, ჟღალი გრძელი თმით, სულ გრძელი ნაწნავით დადიოდა და ძალიან უხდებოდა. ერთხელაც გაკვეთილზე შემოვიდა და ვერ ვიცანი, თმა ბიჭურად გაუკრეჭია, მომბეზრდაო – თქვა. არადა, თურმე, მეზობლის ბავშვები რიჟას ეძახდნენ და ატირებულს თმა თავისი ხელით შეუჭრია.

რა არის აგრესია? რა თქმა უნდა, დაგროვილი უარყოფითი ენერგია. ამიტომ აუცილებელია სკოლებში მეტი აქტივობების განხორციელება იმისთვის, რომ მოსწავლე ყოველგვარი უარყოფითი ენერგიისგან ბოლომდე დაიცალოს. კარგი იქნება თავად პედაგოგებსაც ბულინგის თემაზე ტრენინგები თუ ჩაგვიტარდება.“

***

ფონდი „სოხუმი“ ერთ-ერთი არასამთავრობო ორგანიზაციაა, რომელიც ამ მიმართულებით მუშაობს. შიდა დონეზე ჩატარებული კვლევებიდან გამომდინარე, მოზარდებში ფიზიკური თუ ფსიქოლოგიური ზიანის მიყენების ფაქტების სიმრავლეზე ამავე ფონდის წარმომადგენელი, ხათუნა აბშილავა გვესაუბრა:

„ჩვენ საქართველოს 6 რეგიონში ჩავატარეთ კვლევა და აღმოჩნდა, რომ ბულინგის შემთხვევები მოზარდებში ძალზე აქტუალურად დგას, ხშირად მოზარდები ამას თავადვე აღიარებენ და დაგროვებული უარყოფითი ენერგიის დახარჯვის სურვილით ხსნიან. ასეთ შემთხვევებს სკოლებში სხვადასხვა აქტივობების დანერგვის აუცილებლობისკენ მივყავართ. ბულინგის პრევენციის საქმეში, ოჯახთან ერთად, სახელმწიფო პოლიტიკას გადამწყვეტი როლი ეკისრება, რადგან ბევრი კრიმინალური დანაშაული ზრდასრულ ასაკში სწორედ რომ ბავშვობიდან, არასწორი ცხოვრებიდან იღებს სათავეს. სახელმწიფო ამ მხრივ მოდუნებულია, რადგან ოფიციალური სტატისტიკაც კი არ არსებობს, თუ რა მასშტაბის პრობლემასთან გვაქვს საქმე.“

***

მოზარდებში ძალადობის და ჩაგვრის ფაქტები ფსიქოლოგების პრაქტიკაშიც ხშირია. თეა მუშკუდიანი რამდენიმე წელია უშუალოდ ამ მიმართულებით მუშაობს. კითხვაზე, რამდენად ხშირია მომართვიანობა პაციენტებისა, რომლებიც მჩაგვრელები ან დაჩაგრულები არიან და რა შეიძლება იყოს წინაპირობა ბულინგის წარმოშობისა, გვპასუხობს: „ფიზიკური დეფექტები, სოციალური სტატუსი, განსხვავებული რელიგიური მრწამსი, განსხვავებული შეხედულებები ხშირად მოზარდებში დამამცირებელი მოპყრობის, სიძულვილის ენით ურთიერთობის და ზოგჯერ ფიზიკური ძალადობის მიზეზიც კი ხდება. ყველაფერი ეს სათავეს მაინც არასწორი აღზრდიდან იღებს, რაშიც ოჯახი მოიაზრება, თუმცა, გარემო ფაქტორებსაც გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს.

გამოირკვა, რომ ბულინგის გახშირების ხელისშემწყობი ფაქტი კომპიუტერული თამაშებიც არის. განსაკუთრებით პრობლემური ასაკი 10-დან 18 წლამდეა. არც თუ იშვიათად, ბავშვი, რომელიც თავადაა ძალადობის მსხვერპლი, იგივეს იმეორებს სხვა სივრცეში. ამიტომ ბულინგის პრევენციისთვის დასჯა გამოსავალი არ არის. საჭიროა ისეთი პოლიტიკა ოჯახებშიც და სკოლებშიც, რომელიც კონფლიქტს არაძალადობრივი მეთოდებით გადაჭრის.“

ზოგჯერ თავად მშობელს ჰგონია, რომ ბულინგი სასკოლო ოინია, არადა, პრაქტიკა აჩვენებს, რომ უმეტესობა, ვინც მოზარდობაში ჩაგვრა განიცადა, შემდეგში თავადაც კრიმინალურ გზას ირჩევს, რადგანაც მასში დალექილი აგრესია უკვალოდ არ ქრება.

ეს ნიშნავს იმას, რომ საზოგადოების, ოჯახების და სახელმწიფოს მხრიდან გაკეთებულზე ბევრად მეტის გაკეთებაა საჭირო იმისთვის, რომ ჩაგვრა საზოგადოებისთვის მისაღებ ქმედებად, ნორმად არ იქცეს და, რომ მოზარდმა სათვალესა და ჟღალ თმაში თავი სრულფასოვან პიროვნებად იგრძნოს.

ეკა შალამბერიძე

დაწუნებული ჯიხურები ქუთაისის ცენტრალურ უბნებშიც გამოჩნდა

ქუთაისის მერიაში შექმნილმა სპეციალურმა სარევიზიო ჯგუფმა, რომელსაც ქუთაისში განთავსებული ჯიხურების საქმე უნდა შეესწავლა, როგორც ჩანს, ეს საკითხი მოიჯარის სასარგებლოდ გადაჭრა.

მიუხედავად იმისა, რომ ჯიხურების მოწინააღმდეგე მოსახლეობასთან ერთად თავად ქალაქის ამჟამინდელი მერის მოვალეობის შემსრულებელიც იყო და შეუსაბამო იერსახის გამო მათ ადგილს ქალაქის პერიფერიებშიც ვერ ხედავდა, „ბარაქას“ ჯიხურები ცენტრალურ უბნებშიც გამოჩნდა.

მურღულია ჯიხურების ქალაქიდან მოშორებაზეც საუბრობდა იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების გაფორმებასთან დაკავშირებით ხარვეზები აღმოჩნდებოდა.

აღსანიშნავია, რომ 20 მიწის ნაკვეთი, სადაც ჯიხურები დაიდგა, აუქციონის გარეშე, პირდაპირი განკარგვის წესით, მინიმალურ ფასად წელიწადში 1 700 ლარად გაიჯარდა.

ორი წლით ადრე, 2011 წელს, საკრებულომ ქუთაისის ტერიტორიაზე ჯიხურების დადგმა და მათში სურსათით ვაჭრობა სპეციალური განკარგულების გამოცემის საფუძველზე აკრძალა. საკრებულოს მაშინდელმა თავმჯდომარემ თამაზ მარგველაშვილმა კი ისე, რომ წინამორბედის განკარგულება არ გაუუქმებია, ჯიხურების დადგმის ხელშეკრულების ნებართვას ხელი მოაწერა.

როგორც ჩანს, ჩამოთვლილი მიმეზები „საპატიო დარღვევებად“ ჩაითვალა და როგორც ენამოსწრებული ქუთაისელები ამბობენ, „ქუთაისის ბუტკაისად“ ქცევის პროცესი უკვე ქალაქის ცენტრალურ უბნებშიც დაიწყო.

ეკა შალამბერიძე
psnews.ge

„სოფლის ექიმის“ ახალი სახელმწიფო პროგრამის ფორმირება დაიწყო

სადაზღვევო კომპანიებს ექიმების ორთვიანი დავალიანება გაუსტუმრებელი აქვთ

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის მოადგილე მარიამ ჯაში იმერეთის რეგიონის მასშტაბით მომუშავე სოფლის ექიმებს შეხვდა. გაცნობითი ხასიათის შეხვედრაზე იმ ცვლილებებსა და პროგრამებზე იმსჯელეს, რასაც ჯანდაცვის სამინისტრო ამბულატორიებთან დაკავშირებით გეგმავს. ახალი პროექტის ფარგლებში, იმერეთის რეგიონის 12 სოფელში ახალი, თანამედროვე ტიპის ამბულატორია აშენდება. ასევე მოხდება არსებული ამბულატორიების რეაბილიტაცია.

მნიშვნელოვანია ის ცვლილებები, რაც სახელმწიფოს სოფლის ექიმებთან დაკავშირებით გეგმავს.

სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში, მაისიდან ამბულატორიის ექიმებს ადმინისტრაციული ხარჯები შეუმცირდებათ, ასევე გაუნახევრდებათ სამედიცინო ჩანთის შესაძენად საჭირო თანხის რაოდენობა. ამ დრომდე სოფლის ექიმები ადმინისტრაციულ, კომუნალურ და მედიკამენტების შესაძენ თანხას საკუთარი ანაზღაურებიდან ფარავდნენ.

2000 მოსახლეზე ექიმის ხელფასის 500 ლარიდან სამედიცინო დოკუმენტაციაზე საშუალოდ 145 ლარი მოდიოდა, გარდა ამისა, ექიმს სამედიცინო ჩანთის შესაძენად 86 ლარი, ყოველი განახლებისთვის კი 18 ლარი სჭირდებოდა.

„ერთჯერადად მოხდება სოფლის ექიმის ჩანთის სრული შემადგენლობით შეძენა და გადაცემა. იმ მედიკამენტებს კი, რომელიც გადაუდებელი შემთხვევებისთვის იქნება საჭირო, ცენტრალიზებული გაერთიანების შესყიდვის ფარგლებში მნიშვნელოვანი ფასდაკლებით მიიღებენ.

სამინისტროს მიერ შემუშავებული პროგრამა ეტაპობრივად განხორციელდება. აპრილის ბოლოს დასრულდება მუშაობა პირველადი ჯანდაცვის კონცეფციაზე, რაც „სოფლის ექიმის“ კონცეფციასაც მოიცავს. შევიმუშავებთ ყველაზე ეფექტურ მოდელს ჯანდაცვის სისტემის მოსაწყობად, ასევე იქნება განხილული დაფინანსების ახალი მოდელი, რაც გულისმხობს ანაზღაურებას ბენეფიციარების რაოდენობის მიხედვით. ეს ზოგიერთი თემის ექიმისთვის შეიძლება წამგებიანი იყოს, ვიდრე მოჭრილი ანაზღაურება, როგორც დღეს ხდება, ვინაიდან მცირემოსახლიანი თემების ექიმების ანაზღაურება მიზერული დარჩება. ეს არაერთგვაროვან მიდგომას საჭიროებს. ამიტომ გასათვალისწინებელია, როგორც პოპულაციური, ასევე გეოგრაფიული და რელიეფური თავისებურებები, ამის მიხედვით გადაწყდება, ანაზღაურების როგორ მოდელზე გადავალთ,“ — განაცხადა მინისტრის მოადგილემ.

მიმდინარე წლიდან შეწყდა ხელშეკრულება სადაზღვევო კომპანიებთან, რომლის ფარგლებშიც ექიმების ხელფასის ნახევარს კომპანიები ფარავდნენ. მიმდინარე წლიდან კი სოფლის მედპერსონალი ანაზღაურებას სრულად სახელმწიფოსგან მიიღებს.

შეგახსენებთ, რომ სადაზღვევო კომპანიებმა გასულ წელს ექიმებს ანაზღაურების გადახდა შეუწყვიტეს, რის მიზეზადაც გაკოტრება დაასახელს.

კუთვნილი ხელფასის მოთხოვნით ექიმებმა პარლამენტთან აქცია გამართეს, რის შემდეგაც, სამინისტროს ჩარევით, სადაზღვევო კომპანიებმა დავალიანება ეტაპობრივად დაფარეს, თუმცა, როგორც სოფლის ექიმებმა psnews.ge-სთან საუბარში აღნიშნეს, სადაზღვევო კომპანიებს ამ დრომდე მათი ორთვიანი დავალიანება აქვთ. ექიმები არ გამორიცხავენ, რომ სადაზღვევო კომპანიებმა არსებული დავალიანება აღარ დაფარონ.

სადაზღვევო კომპანიების დავალიანებაზე საუბრობს მინისტრის მოადგილეც. მარიამ ჯაშის განცხადებით: „ზოგ სადაზღვევოს ერთი, ზოგს კი ორი თვის დავალიანება დარჩა. ზუსტად ვერ გეტყვით, როდის მოხდება მათი დაფარვა, მაგრამ შემიძლია გითხრათ, რომ ეს დავალიანება აუცილებლად დაიფარება. რთული ვითარებაა, მხოლოდ სადაზღვევო კომპანია „არქიმედესთან“ დაკავშირებით, რადგან მოგეხსენებათ, რომ ეს კომპანია გაკოტრდა, ამიტომ მათ დავალიანებასთან დაკავშირებით რაიმეს თქმა გამჭირდება, სხვა შემთხვევაში კი სრული ანაზღაურება მოხდება.“

ნესტან ჩაგელიშვილი
psnews.ge

არაერთსულოვანი საპარლამენტო რეზოლუცია უკრაინის მხარდასაჭერად

საქართველოს პარლამენტმა უკრაინის მხარდასაჭერად რეზოლუცია მიიღო, თუმცა ოპოზიციის მხარდაჭერის გარეშე. „ერთიანმა ნაციონალურმა მოძრაობამ" უმრავლესობას ტექსტი დაუწუნა და პარლამენტს თავისი ვარიანტი შესთავაზა. ეს უკანასკნელი კი საპარლამენტო უმრავლესობას არ მოეწონა და კენჭისყრისას ჩააგდო. საბოლოოდ, პარლამენტმა უმრავლესობის მიერ შეთავაზებული რეზოლუციის პროექტს დაუჭირა მხარი, ხოლო საპარლამენტო უმცირესობას კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიუღია. ხელისუფლებამ ოპოზიცია კიდევ ერთხელ დაადანაშაულა, რომ უკრაინის საკითხს პოლიტიკური სპეკულაციისთვის იყენებდა.

რეზოლუციის მიღებას წინ ტექსტის რამდენიმედღიანი განხილვა უძღოდა. საპარლამენტო უმცირესობამ ათპუნქტიანი რეზოლუცია წარმოადგინა, რომელსაც უმრავლესობა არ დაეთანხმა. მოლაპარაკებები ორი დღის განმავლობაში მიმდინარეობდა, მოლაპარაკებების მიუხედავად, რომელიც „ქართული ოცნების" და „ნაციონალური მოძრაობის" დეპუტატებს შორის ერთობლივ ტექსტზე შეთანხმების მიზნით იმართებოდა. თუმცა, მხარეებმა შეთანხმებას ვერ მიაღწიეს. „ნაციონალურმა მოძრაობამ" უარი თქვა „ქართული ოცნების" მიერ შემოთავაზებული ტექსტის მხარდაჭერაზე და სანაცვლოდ რეზოლუციის საკუთარი პროექტი დააყენა კენჭისყრაზე, რომელიც საპარლამენტო უმრავლესობამ 27 ხმით 6-ის წინააღმდეგ ჩააგდო. უმრავლესობის მიერ შეთავაზებული რეზოლუციის ტექსტი კი პარლამენტმა 74 ხმით 0-ის წინააღმდეგ დაამტკიცა.

მთავარი უთანხმოება უკავშირდებოდა „ნაციონალური მოძრაობის" დაჟინებულ მოთხოვნას, რომ ტექსტში შესულიყო ის პუნქტი, რომელიც მოუწოდებს საქართველოს მთავრობას „აწარმოოს აქტიური დიპლომატიური კამპანია რუსეთის ფედერაციის დიპლომატიური იზოლაციისა და მის წინააღმდეგ ქმედითი სანქციების დასაწესებლად". „ნაციონალური მოძრაობის" დეპუტატებმა განაცხადეს, რომ „სანქციების" ხსენებას „პრინციპული" მნიშვნელობა ჰქონდა.

საპარლამენტო უმცირესობის წევრის ზურაბ ჯაფარიძის თქმით, „ზოგადი განცხადებების გაკეთებას აზრი არ აქვს და ვთვლიდით, რომ აუცილებელი იყო სანქციების დაწესება მაშინ, როცა ამ საკითხებზე აშშ-ის პრეზიდენტი და ევროპული სახელმწიფოების ლიდერებიც საუბრობენ". უმცირესობის წევრმა, ასევე, აღნიშნა, რომ იმ ტექსტში, რომელსაც კონსულტაციების დროს უმრავლესობა სთავაზობდა, საუბარი არ იყო უკრაინის ტერიტორიის ოკუპაციის მცდელობაზე, რუსეთის იზოლაციის აუცილებლობაზე და რუსეთის იძულებაზე უკრაინის ტერიტორიის დატოვებაზე. მისივე თქმით, კარგია, რომ უმრავლესობის მიერ წარმოდგენილ საბოლოო ტექსტში საქართველოს დეოკუპაციის საკითხი მაინც მოხვდა, თუმცა უმცირესობას ერთი დღე დასჭირდა იმისთვის, რომ დაერწმუნებინა უმრავლესობა, რომ საქართველოს დეოკუპაციის საკითხის ხსენება საქართველოს პარლამენტის რეზოლუციაში მნიშვნელოვანი და ბევრის მანიშნებელია.

უმრავლესობის მიერ მომზადებული რეზოლუციის პროექტი პარლამენტის წევრებს ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტის თავმჯდომარემ ვიქტორ დოლიძემ წარუდგინა, რომელმაც ერთობლივი დოკუმენტის შეუჯერებლობის მიზეზებზეც ისაუბრა და განაცხადა, რომ წინა ხელისუფლებისგან განსხვავებით, დღევანდელი მმართველი გუნდი საგარეო პოლიტიკის გატარებას რიტორიკისა და შოუების საფუძველზე არ აპირებს.

„სამწუხაროა, რომ მხოლოდ ერთი სიტყვა და არა შინაარსი იქცა პროცესის ჩაშლის მიზეზი. ბევრი ისაუბრეთ ოკუპაცია, ეთნიკური წმენდა და ასე შემდეგ. არ დავიწყებ ახსნა-განმარტებას და სწავლებას, რას ეფუძნება რეზოლუცია და როგორ დგება დოკუმენტები. მე მაინტერესებს, ეს დოკუმენტი იყო უკრაინაზე, თუ იყო საქართველოზე? ოკუპაცია თუ ეთნიკური წმენდა რა დოზით არ არის წარმოდგენილ დოკუმენტში? თქვენ რა პრინციპით არ ეთანხმებით მას? ეს არის უკრაინისადმი შედეგზე ორიენტირებული და მიზანმიმართული რეზოლუცია? — აღნიშნა კომიტეტის თავმჯდომარემ.

პარლამენტის თავმჯდომარემ დავით უსუფაშვილმა, რომელმაც დებატები დახურა, განაცხადა, რომ ნაცვლად იმისა, რომ უკრაინაში განვითარებულ მოვლენებზე გაემახვილებინათ ყურადღება, დეპუტატებმა მათი დროის უმეტესობა ურთიერთბრალდებებს დაუთმეს.

„გთხოვთ ყველას, ერთი წუთით შევხედოთ საკუთარ თავს რიგითი უკრაინელი მოქალაქის გადმოსახედიდან. წარმოიდგინეთ, გვისმენდა რიგითი უკრაინელი, რომელსაც ვეუბნებით, რომ ორი თუ სამი დღეა ჩვენ ვცდილობთ, ვმუშაობთ იმაზე, რომ მივიღოთ გადაწყვეტილება, რომლითაც დაგეხმარებით. თუმცა, შემდეგ ნახა ეს ყველაფერი და მოისმინა. არ ჭირდება ბევრი ფიქრი, თუ რა ხასიათზე დადგება ნებისმიერი მოქალაქე, ვინც ამას უყურებდა," — აღნიშნა დავით უსუფაშვილმა. მისი განცხადებით, მაშინ, როცა პარლამენტში ამ თემებზე მიმდინარეობს კამათი, აღმასრულებელი ხელისუფლება ყოველდღიურ კონტაქტზეა კიევთან, ბრიუსელთან, ვაშინგტონთან და ევროსაბჭოში გაგზავნილია სათანადო ტექსტები სანქციების მოთხოვნით.

„დღეს ჩემთვის ერთ-ერთი ყველაზე მძიმე დღეა ამ პარლამენტის კედლებში და მე ვერ ვარ ამაყი, რომ ვარ საქართველოს პარლამენტის წევრი", – განაცხადა უსუფაშვილმა თავის სიტყვაში და აღნიშნა, რომ „ქართული ოცნების" მიერ შემოთავაზებული ტექსტი და მისი ფორმულირება აბსოლუტურად სწორია. მან განაცხადა, რომ „ნაციონალური მოძრაობა" ჯერ კიდევ 5 მარტს, მოლაპარაკებების დასრულებამდე ცდილობდა, რომ ერთობლივი ტექსტის შედგენისთვის ხელი შეეშალა.

„უკრაინის სუვერენიტეტის და ტერიტორიული მთლიანობის მხარდაჭერის შესახებ" რეზოლუციის ტექსტის თანახმად, რუსეთის ფედერაციის მიერ უკრაინის სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის წინააღმდეგ ბოლო დროს განხორციელებული აგრესიული ქმედებები სერიოზულ საფრთხეს უქმნის არა მხოლოდ ჩვენს მეგობარ უკრაინას, არამედ — საქართველოს და მთელს ევროპას.

„საქართველომ 2008 წელს უკვე იწვნია რუსეთის ფედერაციის სამხედრო აგრესია და მსგავსი ქმედებები (რუსული პასპორტების დარიგება, უკანონო შეიარაღებული ფორმირებების შექმნა, სახელმწიფო საზღვრის სიახლოვეს სამხედრო წვრთნების ჩატარება, საკუთარი მოქალაქეების დაცვის საბაბით სამხედრო ინტერვენცია და სხვა), რაც ჩვენი ქვეყნის ორი რეგიონის ოკუპაციით და ეთნიკური წმენდით დასრულდა. დღეს უკრაინასაც იგივე ემუქრება" — აღნიშნულია პარლამენტის რეზოლუციის პრეამბულაში. საკანონმდებლო ორგანოს პოზიცია და მოთხოვნები რეზოლუციაში 8 პუნქტად არის ჩამოყალიბებული, მათ შორის: საქართველოს პარლამენტი გადაჭრით გმობს რუსეთის ფედერაციის მიერ სუვერენული უკრაინის წინააღმდეგ განხორციელებულ ძალადობას და საერთაშორისო სამართლის ძირითადი პრინციპებისა და ორმხრივი შეთანხმებების დარღვევით განხორციელებულ ყველა სხვა ქმედებას; მიმართავს საქართველოს მთავრობას, გააგრძელოს კონსულტაციები უკრაინის ხელისუფლების წარმომადგენლებთან და, საჭიროების შემთხვევაში, ჰუმანიტარული დახმარება აღმოუჩინოს მოძმე უკრაინელ ხალხს; მოუწოდებს რუსეთის ფედერაციას, დაუყოვნებლივ გაიყვანოს უკრაინის ტერიტორიიდან ყველა სამხედრო შენაერთი, რომლებიც იქ საერთაშორისო შეთანხმებების დარღვევით იმყოფებიან და შეწყვიტოს უკრაინის სახელმწიფოებრიობის წინააღმდეგ მიმართული ქმედებები; მოუწოდებს საერთაშორისო თანამეგობრობის წევრებს, პირველ რიგში, ევროპის კავშირსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს, მიიღონ ქმედითი პოლიტიკური, ეკონომიკური და დიპლომატიური ზომები უკრაინელი ხალხის დასახმარებლად, რუსეთის ფედერაციის აგრესიისგან უკრაინის დასაცავად, შეიარაღებული კონფლიქტის თავიდან ასაცილებლად და საქართველოს დეოკუპაციის მისაღწევად; მოუწოდებს ევროპის კავშირსა და ნატოს, დააჩქარონ ამ ორგანიზაციებში იმ ქვეყნების, მათ შორის საქართველოს, ინტეგრაციის პროცესი, რომლებიც ამისთვის მზად არიან და რომელთა თავისუფალ არჩევანს სულ უფრო მეტი საფრთხე ემუქრება.

ციტნე პაატაშვილი

თემურ შაშიაშვილმა, შესაძლოა, ქუთაისის მერად იყაროს კენჭი

პოლიტიკური გაერთიანება „თეთრების" ლიდერმა თემურ შაშიაშვილმა, შესაძლოა, ქუთაისის მერის პოსტზე იყაროს კენჭი.
როგორც შაშიაშვილმა განაცხადა, მას ქუთაისიდან დაუკავშირდნენ და მერის პოსტზე კენჭისყრა სთხოვეს, თუმცა აღნიშნა, რომ არჩევნებში მონაწილეობასთან დაკავშირებით, გადაწყვეტილება ჯერ არ მიუღია.

თემურ შაშიაშვილი

„ქუთაისიდან ძალიან ბევრი ადამიანი დამიკავშირდა და მთხოვა, რომ ქალაქის მერის პოსტზე ვიყარო კენჭი. ესენი სხვადასხვა სფეროს წარმომადგენლები არიან. მათ შორის ისეთებმაც მომმართეს, რომლებიც თავის დროზე მიპირისპირდებოდნენ. დიდი მადლობა მათ ნდობისთვის. გადაწყვეტილება ჯერ არ მიმიღია.

ამ საკითხზე ვფიქრობ, ჯერ მოსახლეობას უნდა დაველაპარაკო. უნდა დაველაპარაკო იმ ხალხს, ვინც თავის დროზე ჩემი მოწინააღმდეგე იყო. გავიგებ ხალხის აზრს და გადაწყვეტილებას მერე მივიღებ," — განაცხადა თემურ შაშიაშვილმა.

„ნიუსპრესი"

გეგუთში გარდაცვლილი პატიმრის ძმა: „ჩემი ძმა საშინლადაა ნაწამები, თვალი აქვს ამოთხრილი"

4 მარტს გეგუთის სასჯელაღსრულების დაწესებულებაში პატიმარი გიგა ფარტენაძე თანასაკნელებს შორის მომხდარი დაპირისპირების გამო გარდაიცვალა. მისი სიკვდილი, წინასწარი ინფორმაციით, მრავლობითმა ჭრილობამ და თავში ბლაგვი საგნის ჩარტყმამ გამოიწვია.

პატიმრის, გიგა ფარტენაძის ძმის, კობა ფარტენაძის განცხადებით, პატიმარს არავითარი ე.წ. „თავანი" არ ჰქონია. როგორც გიგა ფარტენაძის ოჯახის წევრები ამბობენ, გარდაცვლილი ღამის სამის ნახევარზე, მასთან ერთად საკანში მყოფმა პატიმრებმა აწამეს და მოკლეს.

მათივე თქმით, ინციდენტთან დაკავშირებით ციხის ადმინისტრაცია წინასწარ იყო ინფორმირებული. „ჩემს ძმას სხეულზე წამების კვალი აღენიშნება, როგორც თავად მინისტრმა განაცხადა, იგი თავში ბლაგვი საგნის ჩარტყმის გამო გარდაიცვალა და მსგავსი საგნები თურმე საკნებში დაშვებულია, ეს კი სიმართლეს არ შეესაბამება. მას ჩაიდანი აქვს ჩარტყმული, საშინლად არის ნაწამები, თვალი აქვს ამოთხრილი, ექსპერტიზის პასუხი კი დაკრძალვიდან ერთ კვირაში იქნება ცნობილი. გვინდოდა განმეორებითი ექსპერტიზის ჩატარება ბათუმში, მაგრამ უარი გვითხრეს, თბილისის ცენტრალურ ექსპერტიზის ბიუროს მიმართეთო.

„ეს ფაქტი ვერ მოხდებოდა ისე, ციხის ადმინისტრაცია საქმის კურსში რომ არ ყოფილიყო. ჯერჯერობით, ადმინისტრაცია არ დაგვკავშირებია, ჩვენც პატიმარმა დაგვირეკა და გვითხრა გიგას ცხედარი პროზექტურაშია და მიხედეთო.

საკანში გიგას გარდა კიდევ სამი პატიმარი იყო, ისინი გეგუთში 4 დღის წინ თბილისიდან გადაიყვანეს. როგორც ჩემთვის ცნობილია, გიგას წამებაში ორი პატიმარი მონაწილეობდა, მესამე კი, უბრალოდ, უყურებდა, გაშველებასაც კი არ ცდილობდა, ერთ-ერთს მეტსახელად „კვერცხას" უწოდებენ. ჯერჯერობით არ ვიცი, რას მოიმოქმედებს ჩემი ოჯახი, მაგრამ კითხვები არსებობს და გვსურს, ამ კითხვებზე პასუხი გაგვცენ," — განაცხადა გარდაცვლილი პატიმრის ძმამ.

psnews.ge

გახსენება

ქუთაისი ვერ დაივიწყებს მამუკა ექიმს

გაზეთ „პოსტსკრიპტუმის" რედაქცია ღრმა მწუხარებას გამოთქვამს დიდი ქუთაისელი პიროვნების, ყველასათვის საყვარელი და ღირსეული ადამიანის, ცნობილი ექიმის, **მამუკა მაჩიტიძის** მოულოდნელი გარდაცვალების გამო და უთანაგრძნობს განსვენებულის ოჯახსა და მის ახლობლებს.

ფეისბუკიდან გავიგე ქუთათურების საყვარელი ექიმის — მამუკა მაჩიტიძის გარდაცვალების ამბავი...

ბევრმა გამოთქვა გულისტკივილი არაჩვეულებრივი პიროვნების, ნამდვილი პროფესიონალისა და ქუთაისზე უზომოდ შეყვარებული მამუკა ექიმის გარდაცვალების გამო... მეც მინდა, ძეგლი დავუდგა მას და გავაცოცხლო მოგონება...

მეოცე საუკუნე ბოლო დღეებს ითვლიდა, როცა მე ბატონი მამუკა გავიცანი. საუკუნის ქუთაისელზე — ოთარ სულაბერიძეზე, ქუთაისის „მეობაზე" ვწერდი სტატიას...

პოეტ ზურაბ კუხიანიძის კაბინეტში (მწერალთა სახლში) ბატონმა ზურაბმა და მამუკამ ისეთი ამბები მიამბეს, რომ გამიცოცხლეს „მეობა"... „დღე არ არის, „მეობა" არ გამახსენდესო" – მითხრა ბოლოს მამუკამ — „ჩემს სახლში არის ოთახი, სადაც ის ცხოვრობდაო"...

მერე, როცა გაზეთი „პოსტსკრიპტუმი" მივუტანე ბატონ ზურაბს, დაურეკა მამუკას – „ახლავე მოდიო"... მალე მოვიდა მამუკაც...

გაზეთი მომაწოდა ბატონმა ზურაბმა და მთხოვა, წამეკითხა მათთვის „მეობას" წერილი...

„მეობას გაფრენილი წარბები ქუთაისის ემბლემაზე"... წავიკითხე სათაური და გავხედე მსმენელებს, თვალებზე ცრემლს წინასწარ იწმენდდა მამუკა, ბატონი ზურაბი კი, მომეჩვენა, რომ ყელში გაჩხერილ ბურთს ჩახველებით ებრძოდა...

საკმაოდ მოზრდილი სტატია ჩავამთავრე... ორივე ტიროდა... მეც ტირილს ცოტა მიკლდა...

– მადლობა, ლელა, რომ გაგვიცოცხლე „მეობა"... — მითხრა მამუკამ და ხელზე მეამბორა...

მერე ზურაბს მიუბრუნდა და უთხრა – ზურიკო, ამ წუთში მოვკვდები, რომ ვიცოდე, ნახევარი საუკუნის შემდეგაც ვემახსოვრები და ვეყვარები ქუთაისსო"...

ახლა, როცა არც ბატონი ზურაბია ცოცხალი და არც მამუკა, სევდა მომეძალა, სევდა 1999 წლის დეკემბრის მიწურულის ამბისა, ჩვენ ხომ სამივემ გავაცოცხლეთ მაშინ „მეობა"...

დღეს კი, ფეისბუკის გვერდიდან ბევრ თბილ მოგონებას ვკითხულობ მამუკა ექიმზე. მეც მინდა, გამოვხატო ჩემი დამოკიდებულება მისადმი, ამ მოგონების მეტი მე მასთან არაფერი მაკავშირებდა, მაგრამ არასოდეს დამავიწყდება, მთასავით კაცის ბავშვური ქვითინი...

თქვენ ქუთაისს არ დაავიწყდებით, ბატონო მამუკა, არ გქონდეთ დარდი...

ლელა თიოლორდავა
aianews.ge

ქართული სამართლის პარადოქსები

სასამართლომ კოდორის ხეობაში პრეზიდენტის ყოფილი რწმუნებული ემზარ კვიციანი პატიმრობაში დატოვა.

„არის თუ არა ემზარ კვიციანი ის ადამიანი, რომელიც საკუთარი ქვეყნის წინააღმდეგ წავიდოდა?“

როგორც ყველას გვახსოვს, ემზარ კვიციანს სააკაშვილის რეჟიმმა ბრალი დაუმორჩილებლობაში დასდო, ხოლო მისი მეგობარი ირაკლი ბათიაშვილი, მსოფლიო იურისპრუდენციისთვის უცნობი მუხლით — „ინტელექტუალური მხარდაჭერის“ ბრალდებით დააპატიმრეს და რამდენიმე წელი ციხეში გამოამწყვდიეს.

პატიმრობაში იმყოფებოდა აგრეთვე, ემზარ კვიციანის და ნორა კვიციანიც.

მაინც რაში იყო საქმე და არის თუ არა ემზარ კვიციანი ის ადამიანი, რომელიც საკუთარი ქვეყნის წინააღმდეგ წავიდოდა?

დავიწყოთ იქედან, რომ 2008 წელს ოკუპანტებისთვის, სამარცხვინოდ და პრაქტიკულად თოფის გაუსროლლად ჩაბარებულ კოდორის ხეობას, საქართველოსთვის უდიდესი სტრატეგიული მნიშვნელობა ჰქონდა, რადგან იმ შემთხვევაში, თუ საქართველო თავისი ტერიტორიული მთლიანობის აღდგენას სამხედრო გზით გადაწყვეტდა, მაშინ ამ მიზნის მისაღწევად, კოდორის ხეობა სასიცოცხლო მნიშვნელობას შეიძენდა, რადგან ის არის სიმაღლე, საიდანაც საზენიტო-სარაკეტო კომპლექსის ცეცხლი, საჭიროების შემთხვევაში სოხუმამდეც მიაღწევდა, აღარაფერს ვამბობ იმ მოკლე, პრაქტიკულად, საცალფეხო გზაზე, საიდანაც სოხუმში შეიარაღებული ძალების ფარულად შეყვანა, დაახლოებით, 3-4 საათის პერიოდში შეიძლებოდა.

რა თქმა უნდა, კოდორის ხეობის სტრატეგიული მნიშვნელობის შესახებ, ჯერ კიდევ აფხაზეთის ომის დასრულების დროს იცოდა რუსულმა მხარემ, იცოდა ედუარდ შევარდნაძემ და იცოდნენ აფხაზებმაც, მაგრამ, მაშინ, ედუარდ შევარდნაძემ შეძლო და კოდორის ხეობა შეინარჩუნა.

გამომდინარე თავისი რელიეფიდან, კოდორის ხეობის დასაცავად ქვეყნის მაშინდელმა ხელისუფლებამ ერთადერთი სწორი გადაწყვეტილება მიიღო და იქ ადგილობრივებისგან შემდგარი ბატალიონი ჩამოაყალიბა, რომლებმაც თითოეული კუთხე-კუნჭული ზეპირად იცოდნენ.

შეიძლება ვინმე შემომედავოს და თქვას, რომ ეს ხეობის დასაცავად ერთადერთი გამოსავალი არ ყოფილაო. ასეთებს შევახსნებ, რომ როდესაც რუსებმა კოდორის ხეობაში ვერტმფრენებით დესანტი გადმოსხეს, მათ უკან, სწორედ ადგილობრივებისგან შემდგარმა ბატალიონმა დაახევინა. მაშინ ადგილზე ოპერატიულად გაფრინდა საქართველოს მაშინდელი პრეზიდენტი ედუარდ შევარდნაძე, რომელიც თავის მემკვიდრეს სიმამაცით აშკარად რამდენიმე თავით აღემატება და რუსული დესანტის მეთაურს პირადად შეხვდა. როგორც ედუარდ შევარდნაძე იხსენებს, რუსული არმიის დანაყოფის მეთაურებთან მოლაპარაკების დროს, მან მომხვდურებს უკან გაბრუნება ურჩია და უთხრა, რომ ხეობაში ადგილობრივი მოსახლეობისგან შემდგარი ბატალიონი მოქმედებდა, რომელიც უკან არაფერზე დაიხევდა და რისი შედეგებიც ძალიან ძნელად საპროგნოზო იქნებოდა.

რუსული დანაყოფის ხელმძღვანელობამ, ედუარდ შევარდნაძესთან შეხვედრისა და ადგილობრივი ბატალიონის შესახებ ინფორმაციის მიღების შემდეგ დესანტი უკანვე, ვერტმფრენებში შეაბრუნა და ტერიტორია დატოვა.

ძნელი სათქმელია დაიკარგებოდა თუ არა კოდორის ხეობა იმ შემთხვევაში, იქ რომ 2008 წელს ემზარ კვიციანი და მისი ბატალიონი ყოფილიყო, მაგრამ ფაქტი ერთია, ხეობა ასე სამარცხვინოდ, სააკაშვილის მიერ თბილისში გამართული ტინგიც-კონცერტის ფონზე ნამდვილად არ ჩაბარდებოდა.

ემზარ კვიციანი ნამდვილად იყო პიროვნება, რომელმაც საქართველოს რამდენიმე წლის განმავლობაში კოდორის ხეობა შეუნარჩუნა, თუმცა ყველას კარგად ახსოვს, ვარდოსანი ავანტიურისტების მიერ ხეობაში ჩატარებული სპეცოპერაცია, რომელსაც გორელი ბოზების რისხვა ირაკლი ოქრუაშვილი და ქვეყნის აწ უკვე სქოლიოზშეყრილი ხერხემალი ხელმძღვანელობდნენ.

სპეცოპერაცია უმსხვერპლოდ არ დასრულებულა და მას ერთი ხანდაზმული ქალბატონის სიცოცხლე შეეწირა, რომელსაც საკუთარი სახლის კუთხესთან წამოეწია ვერტმფრენიდან ნასროლი ტყვია. ამის შემდეგ, მიხეილ სააკაშვილმა კოდორის ხეობის „დაბრუნება და გათავისუფლება“ საზოგადოებას დიდი ზარზეიმით აუწყა და მას ტოპონიმიკაც კი შეუცვალა და „ზემო აფხაზეთი“ უწოდა.

ამით მან ირიბად ხაზი გაუსვა, რომ აფხაზეთის ნაწილი უკვე „დაიბრუნა.“ ამ ფაქტის შეფასება უფრო ფსიქოლოგ-ფსიქიატრების კომპეტენციას განეკუთვნება, მაგრამ ფაქტი ერთია, ამ ავანტიურამ უმძიმესი შედეგები მოგვიტანა.

„ზემო აფხაზეთის დაბრუნების“ შემდეგ, ვანო მერაბიშვილმა იქ ხის კოტეჯები ჩადგა და როტაციის პრინციპით, შინაგან საქმეთა სამინისტროს დანაყოფები განალაგა, თუმცა როგორ იბრძოლეს იმ დანაყოფებმა 2008 წლის აგვისტოში იქ, ამის ნათელი დასტური სახეზეა. ვარდოსანი ხელისუფლება, რომელსაც ემზარ კვიციანის დაპატიმრება, ან, შესაძლოა, ლიკვიდაციაც კი ჰქონდა ჩაფიქრებული, ხელმოცარული დარჩა, რადგან ყოფილმა გუბერნატორმა ტერიტორიის დატოვება მოასწრო.

შემდეგ კი, საქართველოს თავს ბევრი ამბავი დატრიალდა, რომელიც როგორც აღვნიშნეთ, 2008 წელს კოდორის სამარცხვინოდ დატოვებით დასრულდა, თუმცა მანამ, კოდორის ხეობის სპეცოპერაციის ერთ-ერთმა მთავარმა გმირმა მოახერხა და მიშა სააკაშვილთან ურთიერთობა დაძაბა, რაც მას ჯერ პატიმრობად, ერთი დღის შემდეგ კი, პირდაპირ ტელეაღიარებად დაუჯდა.

ამის შემდეგ, სააკაშვილის ხელისუფლებამ, მოაგვარა რა იურიდიული ფორმალობები, ირაკლი ოქრუაშვილს საშუალება მისცა საქართველო დაეტოვებინა, შემდეგ კი მასზე ძებნა გამოაცხადა.

დღეს, საქართველოში დაბრუნებული ირაკლი ოქრუაშვილი თავისუფალია და როგორც ამბობენ, გორის მერობისთვის ბრძოლას აპირებსო.

უამრავი ის ადამიანი, რომლებმაც გასული 10 წლის განმავლობაში ქვეყანა გამოხრეს და მისი განვითარების პერსპექტივა ძალიან დიდი ხნით დაამუხრუჭეს, — დღეს თავისუფლები არიან;

დღეს თავისუფლები არიან სანდრო გირგვლიანის მკვლელები;

დღეს თავისუფლები არიან ადამიანები, რომლებიც საკუთარ ხალხს ქუჩაში უსასტიკესად უსწორდებოდნენ, ხოლო აგვისტოს ომის დროს სოროებში იმალებოდნენ;

დღეს თავისუფლები არიან ადამიანები, რომლებიც ვანო მერაბიშვილის გვამებით უზრნველყოფის შესახებ დავალებებს იღებდნენ;

სამაგიეროდ, დღეს პატიმრობაში რჩება ადამიანი, რომელმაც საქართველოს კოდორის ხეობა თითქმის 7 წლის განმავლობაში შეუნარჩუნა და ქვეყანა მხოლოდ იმის შემდეგ დატოვა, რაც მასზე ოფიციალური ნადირობა გამოცხადდა.

აღნიშნული პიროვნება საქართველოში, მიუხედავად იმისა, რომ იცოდა დააპატიმრებდნენ, — თავისი ფეხით ჩამოვიდა.

საინტერესოა რატომ ჩათვალა მოსამართლემ, რომ იმ კაცის გარეთ ყოფნა, რომელიც სამშობლოში დაპატიმრების ასპროცენტიანი საფრთხის მიუხედავად თავისი ფეხით ჩამოვიდა და რომელსაც რუსეთის სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება მისი გადეპორტების შესახებ ბავშვივით უხაროდა, — საფრთხეს წარმოადგენდა და მისგან მიმალვის საფრთხე არსებობდა?

მართლაც უჩველო პრეცედენტებთან გვაქვს საქმე.

მაშინ, როცა არსებული სასამართლო ხელისუფლება, იმ ხალხს, ვის მიმართაც საზოგადოებას აგრესიის უზარმაზარი მარაგი აქვს დაგროვებული, — გარეთ სასაცილო რაოდენობის გირაოს სანაცვლოდ უშვებს, ხოლო ადამიანი, რომელიც ძალიან დიდი ალბათობით პოლიტიკური დევნის მსხვერპლად ოფიციალურად უნდა შეფასდეს, — დღემდე პატიმრობაში რჩება და მისი გათავისუფლება გირაოს სანაცვლოდაც კი შეუძლებელია.

ალეკო ჩუბინიძე
საინფორმაციო სააგენტო „ნიუსპრესი“

ახალი კოდექსით, ხმის მიცემისთვის ფოტოიანი საარჩევნო სიები დაიბეჭდება

პარლამენტმა „საარჩევნო კოდექსში“ ცვლილებების პროექტი მესამე მოსმენით დაამტკიცა. კანონპროექტი 80 ხმით არცერთის წინააღმდეგ მიიღეს.

„ნაციონალურ მოძრაობას“ კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიუღია.

ცვლილებების ამოქმედების შემდეგ, თვითმმართველობის არჩევნებში მერობისა და გამგებლობის კანდიდატებს პარტიები საარჩევნო სიებში ვეღარ ჩასვამენ. გარდა ამისა, შემოღებული იქნება ფოტოიანი საარჩევნო სიები, იმ შემთხვევაში, თუ საარჩევნო კომისიის წევრმა ამომრჩევლის იდენტიფიცირება ფოტოს მიხედვით ვერ მოახდინა, ცესკო-ს წარმომადგენელი ინფორმაციას საპატრულო პოლიციას გადასცემს. საარჩევნო ბარიერი 50%-მდე იზრდება. სწორედ ხმების ეს რაოდენობა იქნება საჭირო მერებისა და გამგებლების თხი წლის ვადით ასარჩევად. თვითმმართველი თემის საკრებულოს პროპორციული წესით ასარჩევ საკრებულოს წევრთა რაოდენობა კი, 10 წევრიდან 15-მდე იზრდება.

საპარლამენტო უმცირესობის წევრის გოკა გაბაშვილის თქმით, საარჩევნო კოდექსში ისეთი ცვლილება არ მომხდარა, რომელიც საარჩევნო გარემოს გააუმჯობესებდა.

„საარჩევნო კოდექსში პრინციპულად არაფერი ისეთი არ შეიცვალა, რომელიც ხაზს გაუსვამდა იმას, რომ უმჯობესდება ვითარება. პრაქტიკულად ყველგან, სადაც თვითმმართველობის არჩევნებზე ჩვენი კანდიდატი უკვე ცნობილია, ყველას პირდაპირ პროკურატურით, ფინანსური პოლიციით, გამოძიებით, სასამართლოთი დევნიან,“ — განაცხადა მან.

საპარლამენტო უმრავლესობის წევრის გია ვოლსკის განცხადებით კი, არჩევნების გაყალბების პრაქტიკა წარსულს ჩაბარდა.

„ის ფაქტი, რომ არჩევნები ტარდება და მისი გაყალბება ბარდება ისტორიას, რასთანაც საქმე გვქონდა „ნაციონალური მოძრაობის“ მმართველობის დროს, მისასალმებელია,“ — განაცხადა ვოლსკიმ.

სამოქალაქო კამპანია „უკონტროლო ფარული მიყურადების“ შეზღუდვის მიზნით

არასამთავრობო ორგანიზაციების დიდმა ჯგუფმა ერთობლივი კამპანია დაიწყო იმ მექანიზმების შექმნის მიზნით, რომელიც შეზღუდავს მთავრობის შესაძლებლობებს აწარმოოს „უკონტროლო ფარული მიყურადება“.

კამპანიის, რომელიც ათობით არასამთავრობო ორგანიზაციას აერთიანებს, სახელწოდებაა „ეს შენ გეხება“. იგივე სახელწოდების სამოქალაქო კამპანია გაიმართა 2012 წლის საპარლამენტო არჩევნების წინ საარჩევნო გარემოს გაუმჯობესების მიზნით, რასაც შედეგად მოჰყვა **საკანონმდებლო ცვლილებები**, რომელმაც ამომრჩევლებისთვის მედიის უფრო ფართო ხელმისაწვდომობა უზრუნველყო.

ახალი კამპანიის ფარგლებში ყურადღება იმ საკანონმდებლო ცვლილებებზე გამახვილდება, რომელიც, არასამთავრობოების განცხადებით, დაეხმარება ეფექტური მექანიზმების შემოღებას, რათა მთავრობის მხრიდან თვალთვალი სასამართლოს ზედამხედველობის ქვეშ სრულად მოექცეს.

„თითოეული თქვენგანი შეიძლება იყოს იმ 21 000 აბონენტის რიცხვში, რომელსაც ერთდროულად შეუძლია მოუსმინოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ“, – აცხადებს ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრის წარმომადგენელი ვახუშტი მენაბდე ვიდეოკლიპში, რომელიც არასამთავრობო ორგანიზაციების ჯგუფმა გაავრცელა.

უკვე წლებია, რაც ფარული თვალთვალი და პირადი მონაცემების დაცვის კუთხით არსებული ვითარება უფლებადამცველთა შეშფოთების საგანია. თუმცა, ეს საკითხები შარშან განსაკუთრებით აქტუალური გახდა მას შემდეგ, რაც ხელისუფლებამ მკაცრი რეგულაციების შემოღების ხელშეწყობაზე მზაობა გამოთქვა. თუმცა უფლებადამცველთა წუხილები ამ მიმართულებით კვლავაც რჩება, რადგანაც შსს-ს ახლაც აქვს ე.წ. „შავი ყუთები“ მსხვილი სატელეკომუნიკაციო კომპანიების სერვერებზე, რომელთა მეშვეობითაც მას სისტემაზე პირდაპირი წვდომა გააჩნია და შეუძლია ერთდროულად ათასობით ნომრის მოსმენა განახორციელოს.

„საგამოძიებო ორგანოები წლების განმავლობაში, ყოველგვარი კონტროლისა და ნებართვის გარეშე, უსმენდნენ და უთვალთვალებდნენ საქართველოს რიგით მოქალაქეებს, ჟურნალისტებს, სამოქალაქო სექტორის წარმომადგენლებს, პოლიტიკურ აქტივისტებს, ადვოკატებს, სასულიერო და სხვა პირებს“, – ნათქვამია ჯგუფის მიერ გამოქვეყნებულ განცხადებაში.

„2012 წლის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ ხელისუფლებაში მოსულ მმართველ კოალიციას ამ მიმართულებით არანაირი სისტემური ცვლილება არ განუხორციელებია. დაპირების მიუხედავად, სამართალდამცავ ორგანოებს კვლავ აქვთ შეუზღუდავი წვდომა კავშირგაბმულობის ოპერატორთა მონაცემებთან და მოქალაქეთა შორის ყველა სახის კომუნიკაციასთან“, – ნათქვამია განცხადებაში.

კამპანიის მონაწილეები აცხადებენ, რომ სამართალდამცავებს უნდა ჰქონდეთ შესაძლებლობა, რომ დანაშაულთან ბრძოლის მიზნით თვალთვალი განახორციელონ, მაგრამ ეს უნდა ხორციელდებოდეს უკიდურეს შემთხვევაში და ეფექტური მონიტორინგის პირობებში, „რითაც გამოირიცხება იმ პირების პირადი ცხოვრების ხელყოფა, რომელთაც არანაირი კავშირი არ აქვთ სამართალდამცავების მიერ გამოსაძიებელ დანაშაულთან“.

„კამპანიის მონაწილეების მიზანია ფარული მიყურადებისა და თვალთვალის სფეროში არსებული სტატუსკვოს შეცვლა და სისტემური გარანტიების შექმნა იმისთვის, რომ გამოირიცხოს სამართალდამცავი უწყებების თვითნებობა ამ მიმართულებით“, – ნათქვამია განცხადებაში.

ჯგუფი მოითხოვს იმ საკანონმდებლო ცვლილებების მიღებას, რომელიც პარლამენტში ერთი წლის წინ იყო ინიცირებული და რომელიც მთავრობის მიერ თვალთვალზე კონტროლის მექანიზმს გაზრდის, მათ შორის სასამართლოს უფლებამოსილების გაზრდის გზით.

Civil Georgia

ექსტერნატის გამოცდებს მოსწავლეები წელს ელექტრონულად ჩააბარებენ

6 მარტიდან მე-12 კლასელების ექსტერნატის გამოცდები დაიწყო. ქუთაისის მასშტაბით ექსტერნის გამოცდებს 56 მოსწავლე 8 სასკოლო საგანში ჩააბარებს. აქედან სამ საგანს მათსავე სკოლებში, ხოლო დანარჩენ 5 საგანს – ქართული ენა, მათემატიკა, ისტორია, ინგლისური და სამოქალაქო თავდაცვა, ცენტრალიზებულად, ელექტრონული ფორმით ჩააბარებენ.

ბადრი ვაშაკიძე, ქუთაისის საგანმანათლებლო რესურს-ცენტრის ხელმძღვანელი: „შარშან ექსტერნატის დებულებაში ცვლილება შევიდა, რომლის მიხედვითაც დამამთავრებელი, მე-12 კლასის ხუთი გამოცდა ელექტრონული ფორმით ჩატარდება, გამოცდები ხუთი დღის განმავლობაში გაგრძელდება, რომლის განრიგს განათლების სამინისტრო განსაზღვრავს."

იმ მოსწავლეებმა, რომლებიც სკოლებში ექსტერნებად იყვნენ ჩარიცხულები, ერთიან ეროვნულ გამოცდებში გასვლის უფლების მოსაპოვებლად ექსტერნის გამოცდები უნდა ჩააბარონ.

ეკა შალამბერიძე

ხარაგაულსა და ტყიბულში დღის ცენტრებს გახსნიან

4 მარტს ხარაგაულსა და ტყიბულს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვთა საზოგადოების დამფუძნებელი მაგდა ყურაშვილი სტუმრობდა. მასთან ერთად საბაზისო შენობები მოინახულა საინიციატივო ჯგუფმა, რომელიც უკვე ჩართულია შშმ პირთა საკითხების მოგვარებაზე საჩხერესა და ჭიათურაში.

„პირველი ნაბიჯი ჭიათურის" დამფუძნებლის, ნანა გაფრინდაშვილის აზრით,რამდენიმე დღის ცენტრს ექნება კოორდინაცია, რათა გაუადვილდეთ არსებულ პრობლემებთან ბრძოლა (სტიგმა, პოტენციურ ბენეფიციართა მოძიება, მეთოდოლოგია, კადრების გადამზადება, საგრანტო პროექტებზე მუშაობა, საზოგადოების ჩართულობა). ხარაგაულში მოკლე ხანში დაფუძნდება დღის ცენტრი, რომელიც, სავარაუდოდ, სოფელ ფარცხნალის საჯარო სკოლის შენობას გამოიყენებს. ხარაგაულის მაჟორიტარი ნოდარ ებანოიძე ჩვენთან საუბრისას აცხადებს, რომ სკოლის შენობა ხარაგაულის ცენტრიდან, დაახლოებით, სამ კილომეტრშია და მისი გამოყენება შეიძლება როგორც შშმ პირების სერვისებისათვის, ასევე უმწეო მოხუცთა სადღეღამისო ცენტრისათვის. საინიციატივო ჯგუფს აღნიშნულ საკითხზე ესაუბრნენ გამგეობისა და საკრებულოს წევრებიც, რომლებმაც სრული მხარდაჭერა გამოუცხადეს რუსუდან გურგენიძეს, რომელიც ამ ცენტრის ხელმძღვანელი იქნება.

ტყიბულში დღის ცენტრისათვის უკვე გამოიძებნა ყოფილი საბავშვო ბაღის შენობა, რომელიც სარემონტოა, თუმცა საზოგადოებისა და მუნიციპალური ხელმძღვანელობის დახმარების იმედი აქვს ინიციატორ გიგა სოფრომაძეს. ტყიბულის გამგებელმა თემურ ჩუბინიძემ საინიციატივო ჯგუფს სრული მხარდაჭერა აღუთქვა. ახლო მომავალში აღნიშნულ საკითხზე შეხვედრები გაიმართება სამტრედიასა და ხონში.

საქართველოს ყრუთა კავშირის ხელმძღვანელმა თამარ ზაბახიძემ რამდენიმე კონსულტაცია გაუწია ხარაგაულისა და ტყიბულის დღის ცენტრების ხელმძღვანელებს.

როლანდ ხოჯანაშვილი

მაყურებლის ქარ-ცეცხლში

თინა მახარაძე: „მე ამაყი ვარ, რომ მეც ვარ ბოზი"

„ის ხალხი აღელდა, ვისაც სექსი საერთოდ არ აქვს"

თინა მახარაძე

გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ გასული კვირის მთავარი გმირი ახალგაზრდა მსახიობი, თინა მახარაძე იყო. ვიდრე მთელი მსოფლიო უკრაინის და რუსეთის სამხედრო კონფლიქტის გამო შფოთავდა, საქართველოს ინტერნეტსივრცე სწორედ თინას მიერ გავრცელებულ „ორალური სექსის" გაკვეთილებს განიხილავდა და მისი გაკიცხვით იყო დაკავებული.

და მაინც, რით დაიმსახურა 24 წლის ახალგაზრდა მსახიობმა „ასეთი პატივი"? თუ ვინმე დარჩა საქართველოში ისეთი, რომ ამის მიზეზი არ იცის, გაცნობებთ, რომ თინა მახარაძემ ჯერ იყო და „მძიმე კაცთან" ინტერვიუში თქვა, რომ „ორალური სექსი მოსული პონტია", ხოლო შემდეგ, მაია ასათიანის „პროფილში" ბოზობის თემას შეეხო და განაცხადა: „მე არ მესმის, რას ნიშნავს მსუბუქი ან მძიმე ყოფაქცევა და არ მესმის ასეთი დეფინიცია – ბოზი, იმ გაგებით, რა გაგებითაც ჩვენს სოციუმშია დამკვიდრებული.... თუ ადამიანები ფიქრობენ, რომ ქალი, რომელიც მოქმედებს თავისი სურვილის და კეთილი ნების გათვალისწინებით, ის არის ბოზი, მაშინ მე ამაყი ვარ, რომ მეც ვარ ბოზი. მე ვიქცევი ისე, როგორც მე მინდა, თუმცა ჩემთვის ზღვარი თავისუფლებასა და ამორალურობას შორის გადის იქ, სადაც ირღვევა სხვისი პირადი სივრცე. შესაბამისად, მე ჩემი საქციელით არ უნდა შეურაცხვყო არავინ, არც მორალურად და არც ფიზიკურად. ჩემი ქმედება არ უნდა არღვევდეს სხვის კეთილ ნებას. ანუ ჩვენი კეთილი ნების გადაკვეთა არ უნდა ხდებოდეს."

გარდა ზემოთაღნიშნული თემებისა, თინა მახარაძემ სხვა საინტერესო საკითხებზეც გამოხატა თავისი თამამი პოზიცია.

მან გადაცემაში „მძიმე კაცთან" უბრალოდ, მარტივად და სრული გულახდილობით გასცა ყველა დასმულ შეკითხვას პასუხი (ამ შემთხვევაში, სექსის, მარიხუანასა და იესოს თემას არ ვეხები, იყო ინტერვიუში ბევრი რამ, რის შესახებაც თინამ ისაუბრა, მაგალითად, ქართველი ერი, მეზობლების ინსტიტუტი, ქართველი ქალის/გოგოს როლი, ახალგაზრდები, ტრადიციად ქცეული ჩვევები და ა.შ. სამწუხაროდ, ამ თემებს ნაკლები ყურადღება მიექცა და მხოლოდ პირველ სამ თემაზე გამოთქმული აზრის მიხედვით შეაფასა თინა საზოგადოებამ). საქმე ისაა, რომ ეს პასუხები აბსოლუტურად განსხვავდებოდა დანერგილი, რუტინული პასუხებისგან და მოსაზრებებისგან.

ერთი რამ გამორჩა თინას, როცა საკითხი რელიგიურ თემას ეხება ქართველი განსაკუთრებით დაუნდობელი კრიტიკოსი ხდება — ეს გასათვალისწინებელი იყო. თუმცა, თუ ამას განვიხილავთ, როგორც წინასწარ, პოპულარობის გაზრდის მიზნით, დადგმულ ნაბიჯს, ეს კარგი მარკეტინგული გათვლა იყო. ხალხის გაღიზიანებამ და გამოწვევამ საკმაოდ დიდი პოპულარობა მოუტანა.

მე ინტერვიუ ავიღე სხვადასხვა პროფესიის თუ მომავალში სხვადასხვა პროფესიის მქონე ადამიანებისგან, რამაც მიჩვენა, რომ ხალხის აზრი თინა მახარაძის ინტერვიუსთან დაკავშირებით, სამად იყოფა, ერთნი მას ერის გამრყვნელად მოიხსენიებენ, მეორენი — საღად მოაზროვნედ, მესამენი კი ოქროს შუალედს იკავებენ, ანუ მოსწონთ მისი მსჯელობა, თუმცა ბევრ რამეში არ ეთანხმებიან.

„იმის მიუხედავად, რომ ეს ადამიანი ქართულ მენტალობას გასცდა და გათავისუფლდა იმ ჯაჭვისაგან, რომელიც აწუხებდა (ეს ჯაჭვი ნებისმიერ ქართველს აქვს, მენტალობის და ტრადიციების სახით, მაგრამ პირადად, არ მაქვს მისი გაწყვეტის სურვილი და თავს ნაკლებ განვითარებულად არ მივიჩნევ). თან, გარკვეულ საკითხებში მართლა კომპეტენტურია და თავისუფლად შეიძლება, დავეთანხმო. ბევრ პრობლემას შეეხო და არც ისე ცუდი შთაბეჭდილება დაუტოვებია ჩემზე, ზოგადად, მაგრამ მე მიხარია, რომ ზუსტად მისნაირად არ ვაზროვნებ," — საერთაშორისო ურთიერთობების სტუდენტი.

„რთულია, დაამატო რაიმე სხვა, როდესაც ყველაფერი ნათქვამია. ძალიან მომეწონა თინა მახარაძის ინტერვიუ, რადგან სრულიად იდენტური აზრი მაქვს ამ ყველაფერთან დაკავშირებით... ეს აგრესია, ალბათ, იმის ბრალია, რომ ჩვენი ცხოვრება არ გაგვაჩნია და დღემდე ვერ მივედით იმ დასკვნამდე, რომ წარსულს კი არა, მომავალს უნდა ვუყუროთ. მათ აქვთ თავისუფალი აზრის გამოთქმის უფლება, მაგრამ, მგონია, არ იციან მისი მნიშვნელობა. ეს ჩაკეტილობა ხდის ამ ხალხს აგრესიულს..." – არქიტექტურის სტუდენტი.

„კარგია, რომ ასე თავისუფალია და მომწონს მისი ლაპარაკი „ბოზებთან" დაკავშირებით, მაგრამ რელიგიასთან დაკავშირებით ცოტა ზედმეტი მოუვიდა. კარგია, რომ ხარ თავისუფალი და განათლებული, მაგრამ ზოგჯერ საზოგადოების აზრს უნდა აჰყვე, რადგან შენ ამ საზოგადოების შემადგენელი ნაწილი ხარ." – სამართლის სტუდენტი.

„განათლებული ადამიანია, რაც საშუალებას აძლევს, მისი აზრი მყარი არგუმენტებით გააჯეროს. არის რაღაც დეტალები, რაც უხეშად მომხვდა ყურში ინტერვიუს მსვლელობისას. ვეთანხმები, რომ ინტიმური ცხოვრება პირადია და არაა საჯარო, რომ მეზობელს არ უნდა დავეკითხოთ აზრი, უნდა ვაკეთოთ ისე, როგორც ჩვენ გვსურს. სიუჟეტის დამთავრებამდე ვფიქრობდი, ალბათ, როგორ მოეწონა ახალგაზრდებს თინას მსჯელობათქო და როგორც კი კომენტარები წავიკითხე, იმედები გამიცრუვდა. ძალიან შემრცხვა იმ კომენტარების წაკითხვა. მრცხვენია, რომ თავისუფლება ბოზობად ითვლება. არ შეიძლება, გვქონდეს ევროპელობის ამბიცია და თავისუფლებას გმობდე. არ ვთვლი, რომ თინა უნდა გვეამაყებოდეს, მაგრამ მის ნახევარს მაინც რომ ვაზროვნებდეთ დღევანდელი თაობა, ამდენი პრობლემა არ გვექნებოდა," — გეო-ტურიზმის სტუდენტი.

„ჩემი აზრით, ღმერთზე ცოტა მოკრძალებულად უნდა ესაუბრა იმიტომ, რომ ჩვეულებრივი ადამიანი არაა, რომ ტიპად მოიხსენიო, ღმერთია. დანარჩენს არ გავუღიზიანებივარ, მისი ცხოვრებაა და როგორც უნდა, ისე წარმართავს," – სამედიცინო ფაკულტეტის სტუდენტი.

„არის საკითხები, რაშიც შემიძლია, დავეთანხმო, მაგრამ გათვალისწინებით იმისა, რომ გარკვეული თვალსაზრისით კონსერვატიული შეხედულებით გამოვირჩევი, „თამამი" შეხედულებები მიუღებელია ჩემთვის. მიუხედავად იმისა, რომ მეც ოცდამეერთე საუკუნის თინეიჯერ თაობას მივეკუთვნები... ერთის მხრივ, მისი შეხედულებები „ამერიკულ მოდელზეა" აგებული და ცდილობს, საქართველოს შეუსაბამოს... საბოლოო ჯამში, მიმაჩნია, რომ თინა მახარაძის ეს ინტერვიუ ნამდვილად კრიტიკის საკითხია... კიდევ არაერთი მიზეზი არსებობს იმისა, თუ რატომ გახდა ეს ინტერვიუ აგრესიული რეაქციის მიზეზი," – საჯარო მმართველობის სტუდენტი.

„ჩემი აზრით, იმდენად შებოჭილი და ჩარჩოებში ჩასმული ეჩვენება „საზოგადოება", რომ ასეთი შეფასება მისთვის ნორმაა. ვფიქრობ, ამოვარდნილია ქართული აზროვნებიდან, ესაა მაგის პრობლემა და ლაპარაკის შედეგიც. ქართული აზროვნებაა მოყოლილი კომენტარები. მე არაფერი გამკვირვებია მაგის ლაპარაკში, არც მომწონებია და არც ვლანძღავ. ერთადერთი, რაც მომეწონა, ისაა, რომ პატარაობიდან კითხულობს," — ჟურნალისტიკის სტუდენტი.

„საკუთარ თავს გაუკეთა პოპულარიზაცია. სკანდალური და ასეთი უაზრო გამოხტომებით ცდილობს, გახდეს ცნობილი და უნდა, მის თაობაში დანერგოს ის რეჟიმი, სადაც ლიდერად თვითონ გამოჩნდება," – სამართლის კურსის სტუდენტი.

„ეს გოგო არის ლიბერალური ადამიანი, ადამიანი, რომელიც მაგალითია დემოკრატიული სახელმწიფოსი, ანუ ასეთი ადამიანებია საჭირო საქართველოში, რათა გავხდეთ დემოკრატიული და ლიბერალური.

ჯერ ერთი — ჩვენი საზოგადოების განათლების დონე ძალიან დაბალია, აქედან გამომდინარე, თავს ვერ აღწევენ წარსულს და ვერ ფიქრობენ რაციონალურად აწმყოზე და, რა თქმა უნდა, მომავალზეც, კიდევ აქედან გამომდინარე: არ გაჩნიათ თავიანთი პირადი და საინტერესო ცხოვრება — თითქმის ყველასი ერთნაირია და ვერაფერს ნახავ მათ ყოველდღიურობაში უცხოს, კრეატიულს, სულიერს ვერ ეგუებიან სხვებს, რომლებიც ასე არ ცხოვრობენ, მეტს რომ ფიქრობენ, აზროვნებენ, აცნობიერებენ არსს და რომ ცდილობენ, რომ მათი არსებობა და არსი ერთმანეთის თანხვედრი იყოს. ეს გოგო კი ამ ყველაფერს ახერხებს, იცის — რა უნდა, იცის — რას უნდა მოელოდეს, ეძიებს და ინტერესდება. მე მომეწონა ეგ გოგო. დიდი სიამოვნებით ვიმეგობრებდი მასთან. უფრო ჰუმანური, მოწესრიგებული და ჩამოყალიბებული იყო, ვიდრე ისინი, ვინც მას ჰკიცხავს..." – ფილოსოფიის სტუდენტი.

„ბევრ რამეში ვეთანხმები, რაც თქვა. მაგრამ ვერ ამბობს სწორად. ისე ამბობს, რომ არ სიამოვნებს ხალხს. ისე, მასეთი თავისუფალი გოგო ნამდვილად სჯობს ისეთ პატიოსანს, ქმარს ნაცარს რომ შეაყრის თვალებში, კუზანოვის კლინიკიდან ახალი გამოსული რომ არის," – ელექტრო-საინჟინრო ფაკულტეტის სტუდენტი.

„თინა მახარაძე, ერთი შეხედვით, საყვარელი გოგონა, რომელიც ცდილობს, მისი უაზრო ლაპარაკით ქართული მენტალიტეტი შელახოს... ეს ადამიანი არის საქართველოს სირცხვილი, რადგან იმ დიდ ისტორიას, რომელსაც ქართველი ერი ატარებდა, ერთი ხელის მოსმით აქრობს და ქმნის იმ უაზრობას და სიბილწეს, რომელშიც თვითონ ცხოვრობს და სურს, რომ ახალგაზრდა თაობა ჩაითრიოს," – სამართლის სტუდენტი.

„მისი მჯელობა და მოსაზრებები დასაბუთებულია ლოგიკურად, ამიტომ მისაღებია. ჩემში არ იწვევს აგრესიას არანარიად, ხალხი საქართველოში რომ დაუნდობლად ეპყრობა ადამიანის პირად ცხოვრებასა და მოსაზრებებს, მე მგონი, სიახლე არაა," – მართვისა და საზოგადოებრივი მეცნიერებების სტუდენტი.

„პროგრესულად მოაზროვნედ ვთვლი, უბრალოდ, ის ვერ გაითვალისწინა, რომ ჩვენ საზოგადოებას პირში მთქმელი და თავისუფლად მოაზროვნე აღიზიანებს. ქართველებს ვითომ პატიოსნება და ფასადები იზიდავს," –სამედიცინო ფაკულტეტის სტუდენტი.

„ერთი უბრალო გოგოა, მოდას აყოლილი, რომელსაც ერთგვარად გაუმართლა ცხოვრებაში და შეეცადა „დაემსხვრია" სტერეოტიპები. სტერეოტიპები, მისნაირების აზრით, თორემ, მაგ სტერეოტიპებს ქართველები ტრადიციებს და ღირსებას ვეძახით," – სამართლის სტუდენტი.

„ამ გოგონას სურვილია საკუთარი თავის წამოწევა და დაპიარება... მე არ მაქვს ამ გოგოზე დადებითი შეხედულება... ქართველ ხალხს აქვს უზარმაზარი ტრადიცია, რის დამსხვრევას მასა არ გაპატიებს. სახალხოდ ამ თემაზე არ შეიძლება აფიშირება. ხალხის აგრესია არ მიკვირს, რადგან ყველა საკუთარ თავზე, საკუთარ შვილზე ფიქრობს და ძალიანაც არ მოსწონთ, როცა მათი შვილები მსგავს თემებზე ლაპარაკს უსმენენ," — გერმანული ენის პედაგოგი.

„ამ გადაცემას ხშირად ვუყურებ, რა თქმა უნდა, თინას სტუმრობაც ვნახე, მაგრამ მეორედ ვუყურე მაშინ, როდესაც აყიოტაჟი ატყდა და ვიფიქრე, რომ რაღაც გამომრჩა. რა თქმა უნდა, არაფერი გამომრჩენია და არც არაფერზე გამიმახვილებია ყურადღება. ადამიანს კითხვა დაუსვეს და საკუთარი აზრი გასცა პასუხად, რაა ამაში საგანგაშო? ეს ნიშნავს იმას, რომ ხალხში განათლების დონე ნულია, ჩვენ ვართ ჭორიკანა ერი, რომლებიც ვინტერესდებით სხვისი ცხოვრებით, აი, სწორედ ამან გამოიწვია აყიოტაჟი ბრბოში. ნებისმიერ ევროპულ სახელმწიფოში რომ ჩახვიდე, ვერსად ვერ ნახავ ადამიანებს, რომლებიც სხვის ცხოვრებაზე ლაპარაკობენ," — პოლიტოლოგი **ზაალ კუხიანიძე.**

„მე ვფიქრობ, რომ ეს იყო ჩვეულებრივი ამბავი. როცა მოვისმინე, არაფერი გამკვირვებია, რადგან იგივე რამ მეც ხშირად მითქვამს. რა იყო აქ ასაღელვებელი, მართლა ვერ მივხვდი. ვფიქრობ, ის ხალხი აღელდა, ვისაც სექსი საერთოდ არ აქვს. ძალიან გაუნათლებლები ვართ, აი, ძალიან. ვერც თინას მამაცობაზე ვისაუბრებ. არ მგონია, ამის თქმა მამაცობა იყოს, მაგრამ, რაც შემდეგ მოვლენები განვითარდა, ფაქტია, რომ უმამაცესია. მე ვთვლი, რომ იგივეს ყოველთვის ვამბობდი. სხვათა შორის, ამის გამო ქუთაისში არავინ მესხმის. გამიკვირდა თბილისელების ეს რეაქცია," — **დავით ლიკლიკაძე**, ჟურნალისტი.

მარუსა ხურციძე

ჩინელი მასწავლებლების სწავლების მეთოდმა ბრიტანულს აჯობა

„ეკონომიკური თანამშრომლობის და განვითარების ორგანიზაციის“ (OECD) მიერ ჩატარებულმა კვლევამ აჩვენა, რომ ჩინელმა მოსწავლეებმა ცოდნის მხრივ ბრიტანელ მოსწავლეებს აჯობეს.
საქმე იქამდე მივიდა, რომ ბრიტანეთი აღნიშნული მეთოდის გადატანას გეგმავს.



„ბრიტანეთმა არ უნდა თქვას უარი, ჩინეთისგან აითვისოს სწავლების ის მეთოდები, რომელიც მათ წარმატებით დანერგეს. ჩინელი მასწავლებლების სწავლების მეთოდები უფრო ეფექტურია, ვიდრე მათი ბრიტანელი კოლეგების. ჩვენ ეს მეთოდები უნდა მოვიზიდოთ გაერთიანებული სამეფოს „დახავსებულ სკოლებში“. „შანხაის მეთოდის“ გამოყენებამ ბრიტანულ სკოლებში სწავლების დონე უნდა გააუმჯობესოს,“ — ამბობს განათლების მინისტრი. ბრიტანეთის განათლების მინისტრი ჩინეთის ქალაქის სკოლებს, მას შემდეგ ესტუმრა, რაც მათ მოიპოვეს აღიარება, როგორც ყველაზე წარმატებულებმა მსოფლიოში. ეს აღიარება კი ჩინელებს უახლესმა გამოკვლევებმა მოუტანა, რომელიც „ეკონომიკური თანამშრომლობის და განვითარების ორგანიზაციის“ (OECD) მიერ ჩატარდა. ტესტირების შედეგად, რომელიც ამ ორგანიზაციამ ჩაატარა, შანხაის მოსწავლეები საუკეთესონი აღმოჩდნენ კითხვაში, მათემატიკასა და მეცნიერებაში. მაშინ, როდესაც ამავე გამოკვლევაში გაერთიანებულმა სამეფომ 26-ე ადგილი დაიკავა.

50 მასწავლებელი უკვე იმყოფებოდა შანხაიში აღნიშნული მეთოდების შესასწავლად. აღმოჩნდა, რომ შანხაის მოსწავლეები, ბრიტანელ თანატოლებთან შედარებით სწავლის დონით სამი წლით წინ არიან. ჩინეთიდან დაბრუნებული ბრიტანელი მასწავლებლებს ეცოდინებათ, როგორ გააუმჯობესონ სწავლების დონე ბრიტანულ საკლასო ოთახებში. **ჩინელი მოსწავლეები სწავლობენ მათემატიკას პატარა და დიდ კლასებში. ამასთან, გართულებულ პროგრამას იწყებენ უფრო ადრეული ასაკიდან, ვიდრე ბრიტანელები. ჩინელი კოლეგები ირწმუნებიან, რომ ყველა ბავშვი გაიგებს ნებისმიერ საკითხს, როგორც ამას ჩინელი მოსწავლეები ახერხებენ.** ჩინეთს კარგა ხანია მიბაძა გერმანიამ და პოლონეთმა. მათ უკვე გააერთიანეს შორეული აღმოსავლეთის მეთოდები საკუთარ გაკვეთილებთან დამატებით მეცადინეობებზე, ბრიტანეთი კი 15 წლის წინანდელ მოძველებული პროგრამით ხელმძღვანელობს.

შანხაის სწავლების მეთოდოლოგია რესურსებს უფრო ეფექტურად იყენებს და არითმეტიკაზეა ფოკუსირებული, რაც ბავშვებს ადრეული ასაკიდან სჭირდებათ. ამდენად, ბრიტანეთი ხედავს საჭიროებას, რომ მათემატიკა მაღალ დონეზე ასწავლოს დაწყ ებით და საშუალო საფეხურიდანვე. ჩატარებულ კვლევას მოწინააღმდეგეებიც გამოუჩდნენ. ჰარვარდის უნივერსიტეტმა ორგანიზაციის კვლევების ირგვლივ ეჭვი გამოთქვა. ეს კი იმით ახსნეს, რომ შანხაიში ბავშვები იძულებით გადასახლებულების ოჯახებიდან არიან და ისინი იძულებით დადიან სკოლაში, ადგილობრივმა ოლქებმა კი არასწორი შედეგები დადეს. განათლების მინისტრი ამბობს, რომ ბრიტანეთი „თავს მოიტყუებს“ თუ დაეთანხმება იმას, რომ ჩინელ ბავშვებს უფრო უკეთ შეუძლიათ აითვისონ ადრეულ ასაკში ასეთი რთული საკითხები, ვიდრე ბრიტანელებს, თუმცა აღიარა, რომ იქ არის სწავლების ძალიან მაღალი ხარისხი და ბავშვებს გაცილებით ადრეულ ასაკში აქვთ განვითარებული გაგების უნარი, ვიდრე ბრიტანელ ბავშვებს და ანალოგიური მეთოდი საგანმანათლებლო სისტემაში ბრიტანეთმაც უნდა გაატაროს.

წყარო telegraph.co.uk

საჩხერის მუნიციპალიტეტში შშმ პირებისთვის ხელმისაწვდომი შენობა-ნაგებობების მონიტორინგი იწყება

პრემიერ ღარიბაშვილის ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული გადაწყ ვეტილება შშმ პირებს შეეხო. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირს აქვს უფლება, დავა დაიწყოს სახელმწიფო ორგანიზაციების წინააღმდეგ, თუ კონვენციის რომელიმე მუხლი დაირღვა (კანონმდებლობით შშმ პირი სასამართლო ბაჟისაგან გათავისუფლებულია).

რა კეთდება ამ მიმართულებით რეგიონებში, სადაც ყველაზე ნაკლებად ინფორმირებულია შეზღუდული შესაძლებლობის პირი?

ამ საკითხზე გვესაუბრა გიორგი გოგატიშვილი, „საჩხერის შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა“ რეგისტრირებული კავშირის გამგეობის თავმჯდომარე და აღნიშნული პროექტის მენეჯერი.

„საჩხერის შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა რეგისტრირებული კავშირი“ 2014 წლის 3 თებერვლიდან ახორციელებს პროექტს „ხელმისაწვდომი ფიზიკური გარემო – გზა სოციალური ინტეგრაციისაკენ“, რომელიც ხორციელდება კოალიცია „დამოუკიდებელი ცხოვრებისათვის“ მიერ პროექტ „შეზღუდული შესაძლებლობის ადვოკატირების“ ფარგლებში, პროექტი დაფინანსებულია აშშ-ის განვითარების სააგენტოს მიერ. პროექტის მიზანია საჩხერის მუნიციპალიტეტში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა თემის გაძლიერება და გააქტიურება, მოქმედი კანონმდებლობის შესრულებაზე ზედამხედველობისა და გადაწყვეტილებების მიღების პროცესში ჩართულობის გაზრდა, ადგილობრივ ხელისუფლებასთან, მასმედიასთან, არასამთავრობო ორგანიზაციებთან და საზოგადოებასთან თანამშრომლობით, ერთობლივი ღონისძიებების ჩატარებითა და გადაწყვეტილებების მიღებით სოციალურ ინფრასტრუქტურაზე, კერძოდ, საზოგადოებრივი დანიშნულების შენობა-ნაგებობებზე შშმ პირთა შეღწევადობის, ხელმისაწვდომობისა და მათი რაოდენობის გაზრდა.

პროექტის ფარგლებში დაგეგმილია საჩხერის მუნიციპალიტეტში საზოგადოებრივი დანიშნულების ობიექტების (შენობა-ნაგებობების) მონიტორინგი და შეფასება შშმ პირთა შეღწევადობისა და ხელმისაწვდომობის თვალსაზრისით. რის შემდეგაც მოხდება ინფორმაციის ანალიზი, დაიწერება ანგარიში და მომზადდება შესაბამისი რეკომენდაციები (პროექტის ფარგლებში დაგეგმილია აგრეთვე შეხვედრები ადგილობრივ ხელისუფლებასთან, მრგვალი მაგიდა და კონფერენციები). რისთვისაც პროექტის ფარგლებში შევქმენით მონიტორინგის/შეფასების ჯგუფი.

გიორგი გოგატიშვილი

მონიტორინგი და შეფასება მოხდება 2014 წლის 6 იანვრის საქართველოს მთავრობის №41 დადგენილებით დამტკიცებული „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისათვის სივრცის მოწყობისა და არქიტექტურული და გეგმარებითი ელემენტების ტექნიკური რეგლამენტის“ მიხედვით. დიდი სიხარულით აღვნიშნავთ, რომ საქართველოს პარლამენტმა 2013 წლის 26 დეკემბერს მოახდინა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის 2006 წლის 13 დეკემბრის „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენციის“ რატიფიცირება თანდართული დეკლარაციის გათვალისწინებით. კონვენციის მიხედვით შშმ პირი არ განიხილება, როგორც შემოწირულობის ობიექტი, სოციალური დაცვის და მკურნალობის ობიექტი, არამედ ის განიხილება, როგორც უფლებების სუბიექტი და საზოგადოების აქტიური წევრი,“ – აცხადებს გიორგი (გოგა) გოგატიშვილი.

როლანდ ხოჯანაშვილი

გახსენება

ფოთოლა სალაძე-ბაბუნაშვილის გახსენება

საყვარელო დედა, ეს მცირე წერილი შვილებისგან მონატრებად მიიღე. 2014 წელს 15 მარტს ერთი წელი ხდება, რაც ამქვეყნიური ცხოვრებიდან წახვედი და ზეციურ სასუფეველში დაიმკვიდრე ადგილი. ყველას დაგვაკლდა შენი მზრუნველობით სავსე ხმა. შენ ხომ ყველას სიხარული გიხაროდა და ყველას გაჭირვებას განიცდიდი. 19 წლის წინ გარდაცვლილი არაჩვეულებრივი მეუღლის, ბორია ბაბუნაშვილის გარეშე დარჩენილმა, მოახერხე შენი შვილების გვერდით დგომა და ძლიერ ქალად იქეცი, ჩვენთვის დიდი იმედი იყავი, დედა.

სხვისი დახმარება შენი ცხოვრების მიზნად იყო ქცეული, მაგრამ უკურნებელ სენთან და მოულოდნელ ტრაგედიასთან ერთად, რასაც საყვარელი სიძის (ქალიშვილის მეუღლის) მამუკა ხარჩილავას გარდაცვალება დაემთხვა, ნამდვილად უძლურები აღმოვჩნდით ყველანი. შენი ავადმყოფობა ამ ტკივილთან ერთად უფრო დამძიმდა, რასაც 4 თვე უსიტყვოდ, თვალცრემლიანი ებრძოდი.

დედა, დრო მიდის უშენოდ, მხოლოდ ტკბილი მოგონებებით ვცხოვრობთ, როცა ვიხსენებთ, როგორი ძლიერები და ბედნიერები ვიყავით შენს გვერდში.

შენთან სტუმრობა ყოველთვის დიდი ზეიმი იყო, არამარტო შვილებისთვის, არამედ ახლობლებისა და ნათესავებისთვისაც. სახლი უფრო თბილი და მხიარული გვხვდებოდა. მოსწრებული დედა და ბედნიერი დიდი ბებია იყავი. შვილთაშვილები: პატარა ლუკა და ანასტასიაც კი სიხარულით მოიჩქაროდნენ შენთან. იმათ განსაკუთრებულ სტუმრებად თვლიდი და ამიტომაც შენს თვალებში ბედნიერების ცრემლი ციმციმებდა.

ის დიდი ენერგია, სიყვარული და იუმორი, რომელიც შენ გაგაჩნდა, შვილების ბედნიერებით იყო გამოწვეული.

ამბობენ, სრული ბედნიერება არ არსებობსო და სიცოცხლის ბოლოს, 72 წლის ასაკში წახვედი ჩვენგან სიძის გარდაცვალებით გულდაწყვეტილი.

„სახლი დედის გარეშე სახლი არ არისო“ — ამ სიტყვების აღქმა ადრე წარმოუდგენელი იყო, როცა ამ ფაქტის წინაშე ვდგებით შვილები, ნამდვილად ვგრძნობთ ამ სიცარიელეს, დედა ნებისმიერ ასაკში დიდი იმედია და ძალა, მიუხედავად ასაკისა, ყოველთვის გვჭირდება შვილებს მისი მოფერება და თბილი სახლი.

დარწმუნებული ვართ, ვინც დაგვაკლდა, ჩვენი ოჯახის საყვარელი ადამიანების სახით, ისინი ზეციდან დაგვლოცავენ და დაგვიფარავენ.

ჩვენ ყოველთვის დაგინთებთ სანთელს და ვილოცებთ ჩვენი გარდაცვლილი ადამიანების სულისთვის.

თქვენნაირები არ კვდებიან, მხოლოდ გარდაიცვლებიან.

დიდი მონატრებით შვილები:
კობა, გიორგი და ნინო ბაბუნაშვილები

ყვირის ჰოროსკოპი

ვერძი: შეეცადეთ გამოასწოროთ ყველა ის შეცდომა, რომელიც დაუშვით ახლო წარსულში. თქვენ უფრო მშვიდი და დაფიქრებული გახდებით.

კურო: მოერიდეთ უფროსობას. თქვენს მეგობრებს და ნაცნობებს ნამდვილად გააოცებთ. ყურადღების ცენტრში ხართ. საქმეებს აწესრიგებთ. არ არის საჭირო, ყველაფერს ერთდროულად მოჰკიდოთ ხელი. იყავით უფრო მიზანდასახული. წარმატებას ასე უფრო ადვილად მიაღწევთ.

ტყუპები: ფრთხილად მოეპყარით საქმიან ქაღალდებს. თუ უპასუხისმგებლობას გამოავლენთ, სამსახურში პრობლემები აუცილებლად შეგექმნებათ.

კირჩხიბი: მოგიწევთ ძალების კონცენტრირება. თუ დახმარების ხელი გამოგიწოდეს უარი არ თქვათ, ნამდვილად დაგჭირდებათ.

ლომი: დიდი შრომა დაგჭირდებათ იმისთვის, რომ თქვენი მიზნის ერთ პროცენტს მაინც მიაღწიოთ. კარგი იქნება, თუ ასეთი დაძაბული გრაფიკის მიუხედავად, განტვირთვას შეძლებთ და მეგობრების კომპანიაში მოილხენთ.

ქალწული: ეს დღეები მოგიტანთ სრულიად მოულოდნელ კავშირებსა და ურთიერთობებს. ეს, ძირითადად, დაკავშირებული იქნება უცხოელ პარტნიორებთან. საჭიროა გამოავლინოთ მეტი აქტიურობა და ორგანიზებულობა, რათა ხელიდან არ გაუშვათ წარმატების შანსი.

სასწორი: კარგი იქნება, თუ შემოსავლის ახალ წყაროზე იფიქრებთ. ეცადეთ, ემოციები სტრესამდე არ მიიყვანოთ.

მორიელი: ნუ აჰყვებით ცდუნებას, არცთუ ისე ახლობელ ადამიანს გაანდოთ საიდუმლო, მით უმეტეს, თუ ის სხვას ეხება. ეს დღეები ხელსაყრელია ფინანსური საკითხების მოსაგვარებლად.

მშვილდოსანი: ეს კვირა წარმატებულია ფინანსური ოპერაციებისათვის. ადვილად შეძლებთ დამატებითი შემოსავლების მოძიებას.

თხის რქა: მცირედი მატერიალური პრობლემების მიუხედავად, დღეები წარმატებული იქნება. ენდეთ ინტუიციას და იყავით მაქსიმალურად აქტიური. მოგზაურობისაგან თავი შეიკავეთ.

მერწყული: ეცადეთ, წარმოქმნილ პრობლემებს იუმორით შეხედოთ და მარტივად გადაწყვიტოთ. ოჯახური ფასეულობები წინ წამოსწიეთ. საყვარელ ადამიანთან იდეალურ ურთიერთობას შეინარჩუნებთ.

თევზები: ეს კვირა იდეალურია ფინანსური ოპერაციებისათვის და ხანგრძლივი პროექტების წამოსაწყებად. მატულობს ტრავმვების რისკი, ამიტომ ყურადღება არ მოადუ-

წინა ნომრის კროსვორდის პასუხები

თარაზულად: 3. სოკრატე; 5. კროლი; 6. სია; 8. ალი; 9. არღუნ; 11. აბაშიძე.
შვეულად: 1. სკილა; 2. ბან; 3. სტრელკა; 4. ეპიკურე; 7. პრაია; 10. ვაჰ.

რეზო თაბუკაშვილის სახელობის სახალხო ლიტერატურული თეატრი კულტურის სამინისტროს მხარდაჭერით ახორციელებს პროექტს „ამ მეგობრობით შევცვლით სამყაროს"... რომელიც ეძღვნება ქართულ-ებრაული ურთიერთობების 26-საუკუნოვან იუბილეს.

პროექტის ფარგლებში, ქართულ-ებრაული თემატიკისადმი მიძღვნილ იზა ვეფხვაძის საავტორო ლიტერატურულ სპექტაკლს, თეატრი გამართავს საქართველოს იმ რეგიონებში, სადაც საუკუნეთა განმავლობაში სახლობდნენ ებრაელები. ლიტერატურული სპექტაკლის წინასაპრემიერო ჩვენება გაიმართა 27 თებერვალს თბილისში, ებრაულ სახლში.

13 მარტს, 18 საათზე, ლიტერატურული წარმოდგენა გაიმართება ქუთაისის ოპერის თეატრში, 12 მარტს სამტრედიის სოფელ კულაშში, ებრაელთა მუზეუმში.

სპექტაკლის „ამ მეგობრობით შევცვლით სამყაროს"... ავტორი, რეჟისორი და მსახიობი გახლავთ იზა ვეფხვაძე, საღამოს მუსიკალური გამფორმებელი — დალი მერაბიშვილი, ტექნიკური მენეჯერი — ივანე ჭიპაშვილი.

პროექტი გაგრძელდება 3 თვის განმავლობაში, ხოლო დასკვნითი წარმოდგენა გაიმართება ქალაქ თბილისში.

საკონტაქტო პირი იზა ვეფხვაძე;
ტელ: 557192332



შეადგინა ალეკო ნემსაძემ

ვინ არის ფოტოზე?



პასუხი წინა ნომრის ფოტო-ვიქტორინაზე

„მოქალაქე" **ბიძინა ივანიშვილი** ჩვენმა ერთგულმა მკითხველმა **სულიკო ფუტკარაძემ** ამოიცნო.

რას დაარქმევდით?

თეა წულუკიანი

დაგვიკავშირდით:
- **(0 431) 24-45-46, 24-82-25.**
- **psnews27@gmail.com**

პასუხი წინა ნომრის ფოტო-ვიქტორინაზე

ირაკლი ღარიბაშვილი

გფარავდეს ღვთისმშობელი, ბერბიჭაშვილების პრემიერო.

შაქრო გაბელაშვილი

კროსვორდი



ჰორიზონტალურად: 3. წინათ მილიცია, ახლა? 5. ოქროს წონის ერთეული; 6. მიმართვა კაცისადმი იაპონიაში; 8. მსახიობი ... ფეროუ; 9. სანიავებელი; 11. დავრდომილი ავადმყოფი.
ვერტიკალურად: 1. როკი მეფე ... პრესლი; 2. შეძახილი ვირისადმი; 3. ... პილატე; 4. დასასვენებელი ადგილი ქალაქგარეთ; 7. აომინი, ანუ; 10. ჯარი, არმია.